ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

9 სექტემბრიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

ქართული დეტექტივი

დანაშაული აღარ მოხდება ტომი 8

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




ხუთშაბათი, 11 სექტემბერი, 2014 №215 (6526) ფასი: 30 თეთრი

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ქვეყანაში არეულობის მომწყობებს არ დავინდობთ!“



## რა ინფორმაციებს ფლობს შს მინისტრი

გვ.3

„ჩვენს ქვეყანას აქვს სტაბილური ხანა, სტაბილური პერიოდი. ჩვენ არ გვაქვს ასეთ დესტრუქტორებზე დასახარჯი დრო. ამას მიხედავს შინაგან საქმეთა სამინისტრო. აქვე მინდა ვთქვა ისიც, რომ ჩემი ინფორმაციით, გამოძიება უკვე დაწყებულია“.

## პრეზიდენტი დაქორწინდა



საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა და მაკა ჩიჩუამ ქორწინება ოფიციალურად დუშეთში გააფორმეს. საქორწინო ხელისმოწერისას მოწმეები მათი შვილები – ანა მარგველაშვილი და მაშო ჩიჩუა იყვნენ.

მაკა ჩიჩუამ და გიორგი მარგველაშვილმა, რომლებიც წლების განმავლობაში ერთად ცხოვრობენ, ხელი დღეს მოაწერეს.

ამასთან, გიორგი მარგველაშვილი და მაკა ჩიჩუა შვილს ელოდებიან.




## დავით სერგეენკომ უკან დაიხია



რეცეპტით გასაცემი ზოგიერთი მედიკამენტი შესაძლოა კვლავ ურეცეპტოდ გაიცეს

გვ.5

## კახა კახიშვილი: „პოლიტიკაში მოსვლას არ ვფიქრობ“

გვ.5




## კახა კალაძე: „არსებობდა შეთანხმება, რომ ეულსში პრეზიდენტი გაემგზავრებოდა, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე კი – პრემიერი“

გვ.2



## ჯონდი ბაღათურია: „აუცილებლად უნდა გადაიხედოს ჩვენი საგარეო კურსი“

გვ.5



ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნინო ბურჯანაძე: „როგორც ჩანს, არავის არ აინტერესებს აფხაზეთი, სამაჩაბლო და ქვეყნის ხვალინდელი დღე“



„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, პრეცედენტი იმასთან დაკავშირებით, რომ გაეროს ისტორიაში, გენერალურ ასამბლეაზე ერთი ქვეყნიდან ორი დელეგაცია წასულიყო, – მას არ ახსენდება.

მისივე შეფასებით, გაერო ძალიან დიდ საგონებელში იქნება ჩავარდნილი, მაგრამ ალბათ უფრო მეტ საგონებელში საქართველო უნდა იყოს.

„მე დეტალები ნამდვილად არ მაინტერესებს და ეს ყველაფერი გამოიწვია იმ არანორმალურმა ვითარებამ, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიქმნა, როდესაც მათ გადაწყვიტეს, რომ ყველაფერი იციან, რომ ყველაფერი თავად უნდა გადაწყვიტონ და გვიკარნახონ. სამწუხაროდ ბატონმა ივანიშვილმაც გადაწყვიტა რომ პრეზიდენტი და პრემიერი უნდა დაგვინიშნოს და თვითონ უნდა მართოს ქვეყანა. აღმოჩნდა რომ ვერ მართავს და ეს ვითარებაც ამან გამოიწვია.

მე უფრო მეტად სხვა რამ მაწუხებს, მე მაწუხებს ის, რომ არავინ, არც ჟურნალისტები, ალბათ იმიტომ, რომ ასეთი პოლიტიკაა და ეს არ არის პირადად ჟურნალისტების ბრალი, არ ამახვილებენ ყურადღებას გაცილებით უფრო მნიშვნელოვან თემებზე, გაცილებით უფრო მეტ ხიფათზე, რომელიც ჩვენს ქვეყანას ელის, თუნდაც იმ ფაქტებთად დაკავშირებით, რომელზეც გუშინწინ მე ვისაუბრე.

ეს თემა აბსოლუტურად შეგნებულად იქნა მიჩქმალული, როგორც ,,ნაციონალური მოძრაობის“ ასევე ,,ქართული ოცნების“ მხრიდან. როგორც ჩანს, არავის არ აინტერესებს აფხაზეთი, არავის არ აინტერესებს სამაჩაბლო, არავის არ აინტერესებს საქართველოს ხვალინდელი დღე. ყველა არის მოტივირებული და ფოკუსირებული იმაზე, რომ ერთმა – ,,ქართულმა ოცნებამ“ შეინარჩუნოს ძალაუფლება, ხოლო მეორემ – ,,ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოახერხოს ხელისუფლებაში დაბრუნება. დანარჩენი კი, თუ რა მოუვა საქართველოს, ის, რომ საქართველო ორად იხლიჩება, ამაზე, სამწუხაროდ, ყველამ თვალი დახუჭა და ყური წაუყრუა“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**ნიუსპრესი**

# ალექსი პეტრიაშვილი: ,,გაერო-ს ასამბლეაზე პრეზიდენტის გამგზავრება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია“

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრქუტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, მას, გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს პრეზიდენტის გამგზავრება მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

ამის შესახებ პეტრიაშვილმა მთავრობის დღევანდელი სხდომის შემდეგ განაცხადა და აღნიშნა, რომ საქართველოს დელეგაციას პრემიერ-მინისტრმა უნდა უხელმძღვანელოს.

,,მე მიმაჩნია რომ საქართველო ერთი დელეგაციით უნდა იყოს წარმოდგენილი და მას პრემიერმა უნდა უხელმძღვანელოს. საქართველოს პრეზიდენტის გამგზავრება ამ ღონისძიების ფარგლებში, სწორად და მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, იმიტომ, რომ ეს ჩემი ქვეყნის საგარეო იმიჯს დააზიანებს. ამიტომაც, ვთვლი, რომ ასამბლეაზე პრემიერი უნდა გაემგზავროს“,– განაცხადა პეტრიაშვილმა.

**მედიანიუსი**

# კახა კალაძე: „არსებობდა შეთანხმება, რომ უელსში პრეზიდენტი გაემგზავრებოდა, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე კი – პრემიერი“



ენერგეტიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერ კახა კალაძის განცხადებით, არსებობდა შეთანხმება, რომ პრეზიდენტი უელსის სამიტზე გაემგზავრებოდა, ხოლო გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, ქართულ დელეგაციას, პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებდა.

როგორც მან საკითხთან დაკავშირებით კომენტირებისას განაცხადა, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, საქართველოდან ორი დელეგაციის გამგზავრება, ქვეყნის იმიჯს დააზარალებს.

„ვფიქრობ, აქ სადაო არაფერია. გაეროს გენერალურ ასამბლეაზე უნდა გაემგზავროს პრემიერ-მინისტრი და ამ გადაწყვეტილებას მთავრობაც ეთანხმება. ეს კონსტიტუციითაც არის განსაზღვრული, რადგან თავიდანვე იყო შეთანხმება, რომ უელსის სამიტზე პრეზიდენტი წავიდოდა და ეს ასეც მოხდა, გაეროს სამიტზე კი, დელეგაციას პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ქვეყანაში უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებიც არსებობს.

„როგორც ვიცი მაია ფანჯიკიძე პრეზიდენტს ხვდება და კონკრეტულად ისაუბრებენ იმაზე, თუ რამდენად დააზარალებს ქვეყანას გაეროს ასამბლეაზე ორი დელეგაციის გამგზავრება. ეს ჩვენი ქვეყნის იმიჯს რა თქმა უნდა დააზარალებს და ამიტომ, უმჯობესი იქნება იქ მხოლოდ ერთი დელეგაცია გაემგზავროს“, – აღნიშნა ვიცე-პრემიერმა.

გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, საქართველოდან გასამგზავრებლად, ერთდროულად ორი დელეგაცია ემზადება. საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ამ წუთებში საქართველოს პრეზიდენტს ხვდება, სადაც მისივე განცხადებით, შეეცდება, პრეზიდენტი დაარწმუნოს იმაში, რომ ქვეყნიდან ორი დელეგაციის გამგზავრება მიუღებელია.

**ნიუსპრესი**

# ირაკლი ბათიაშვილი: „არავის არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ სასწავლო ცენტრის გახსნით ხვალ ჩვენ ნატო-ში მიგვიღებენ“



„სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრის ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, საქართველოს ტერიტორიაზე, ნატო-ს საწვრთნელი ცენტრის არსებობა, რუსეთისთვის გამაღიზიანებელი ფაქტორი აღმოჩნდება. ამის შესახებ მან „ნიუსპრესთან“ საუბარში განაცხადა და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა.

როგორც ბათიაშვილმა აღნიშნა, ნინო ბურჯანაძე ამ შემთხვევაში საქართველოსთვის მტკივნეულ სიმართლეზე საუბრობს.

„ტერმინი, რომ „ნატო-ს კარი ჩვენთვის ღიაა“ ჯერ კიდევ 2003 წელს იყო ნათქვამი, როდესაც პრაღის ნატო-ს სამიტზე, ედუარდ შევარდნაძემ გააკეთა პირველი განცხადება, რომ ჩვენ ნატო-ში შესვლა გვინდა. იმავე პერიოდში, წინ წავიწიეთ, როდესაც ნატო-მ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა – „აიპაპი“ მოგვცა. ამის შემდეგ წესით ჩვენ სამოქმედო გეგმა, ე.წ. „მაპი“ უნდა მიგვეღო, თუმცა სამწუხაროდ, ამას ვერ ვიღებთ“, – განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა.

მისივე განმარტებით, ამ თვალსაზრისით, საქართველოს ერთი ნაბიჯითაც არ წაუწევია წინ, რადგან ქვეყნისთვის უფრო რეალური წინსვლა იქნებოდა, რომ მთელი ამ 11 წლის განმავლობაში, სამოქმედო გეგმა მიეღო.

„ის, რაც უელსის სამიტის მემორანდუმშია აღნიშნული, ეს ჩვენს მიმართ სერიოზული კეთილგანწყობაა. საუბარია სერიოზულ მხარდაჭერაზე, მაგრამ შემდეგი სამიტისთვის ან ერთი წლის მერე, ამ სამოქმედო გეგმას მოგვცემენ თუ არა, ამაზე ლაპარაკიც კი არ არის. ერთადერთი კონკრეტული რაც არის, საუბარია გაძლიერებულ პარტნიორობაზე, რაც გულისხმობს, რომ საქართველოში სამოკავშირეო ოფისი გაიზრდება, გაძლიერდება ქართული ჯარის მხარდაჭერა და ჩვენი სამხედრო პოტენციალის თვალსაზრისით, დახმარება“ – აღნიშნა ბათიაშვილმა „ნიუსპრესთან“ საუბარში.

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე ნატო-ს საწვრთნელი ცენტრის არსებობას, ბათიაშვილი მიიჩნევს, რომ ეს შესაძლოა, რუსეთისთვის დამატებითი გამაღიზიანებელი ფაქტორი აღმოჩნდეს.

„საწვრთნელი ცენტრის არსებობა ცუდი მოვლენა არ არის, მაგრამ რა თქმა უნდა, შეიძლება გამაღიზიანებელი ფაქტორი აღმოჩნდეს რუსეთისთვის. რაც ყველაზე მთავარია, არავის იმის ილუზია არ უნდა დარჩეს, რომ სასწავლო ცენტრი რომ გაიხსენება, ამით ხვალ ჩვენ ნატო-ში მიგვიღებენ, თუმცა რუსეთი რომ გაღიზიანდება, ეს რეალურია“, – აღნიშნა ბათიაშვილმა.

მისივე თქმით, თუ ხელისუფლებამ არ იცის, რომ უახლოეს მომავალში ნატო-ს წევრი ვერ გავხდებით, ასეთი უვიცობა და უცოდინარობა სირცხვილია.

„ეს არის სრული უუნარობა თუ სწორ დასკვნებს და ანალიზს ვერ აკეთებ, მაგრამ მეორეა, შეიძლება იციან, მაგრამ ჩვენ გვატყუებენ, როგორც სააკაშვილი გვატყუებდა ამდენი ხნის განმავლობაში, რომ ხვალ და ზეგ ნატო-ში შევდივართო. სააკაშვილმა კარგად იცოდა, არავითარი ნატო-ში შესვლა დღე-დღეზე არ მოხდებოდა, მაგრამ ეს მას საკუთარი ხალხის მოსატყუებლად სჭირდებოდა“, – განაცხადა „სახალხო კრების“ ერთ-ერთმა ლიდერმა.

ბათიაშვილის მოსაზრებით, ნინო ბურჯანაძე ამ შემთხვევაში, გამოდის ერთი პრინციპიდან, რომ არავის აქვს უფლება საკუთარი ხალხი მოატყუოს, რადგან ყველამ მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე უნდა ილაპარაკოს.

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ორი დღის წინ განცხადება გააკეთა, რომლის თანახმადაც, ბოლო 18 წლის განმავლობაში, საქართველო გამუდმებით ელოდა, რომ სიტყვები – „ნატო-ს კარი ღიაა“ რეალობად იქცეოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს კარი საქართველოსთვის დახურულია.

მისივე თქმით, საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა, რასაც დღეს ხელისუფლება, აკეთებს როდესაც ლაპარაკობს, რომ ნატოს სამიტი საქართველოსთვის დიდი წარმატება იყო.

**ნიუსპრესი**

# ნოდარ ხადური: „პროკურატურაში განსაკუთრებით მაღალი პრემია არ გაცემულა“



საქართველოს პროკურატურაში არცერთი განსაკუთრებით მაღალი პრემია არ გაცემულა. – ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

იგი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, მთავარი პროკურატურის თანამდებობის პირებს 2013 წელს ჯამურად 4 254 830, ხოლო 2014 წლის პირველ ნახევარში 3 114 115 აქვთ მიღებული.

„არცერთი განსაკუთრებით მაღალი პრემია არ არის გაცემული, მათ შორის არც მთავარ პროკურატურაში. ამ სიტუაციას ვაკონტროლებთ. ჯამურმა რიცხვმა შესაძლოა, გარკვეული ინტერესი მართლაც გამოიწვიოს, როცა ვამბობთ, რომ 12-მა თანამშრომელმა 12 თვის განმავლობაში ნახევარი მილიონი ლარი მიიღო. ეს არის თვეში დარიცხული 3 000 ლარი, რომელიც ხელზე 2 400 ლარი გამოდის. ამიტომ კარგი იქნება, თუ კონკრეტულად ვიტყვით, ერთმა ადამიანმა რამდენი პრემია აიღო“, – აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

**მედიანიუსი**

# რიჩარდ ნორლანდი: „აშშ საქართველოდან ნებისმიერი დელეგაციის ვიზიტს მიესალმება“



საქართველოში ამერიკის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, ნებისმიერი შემადგენლობის დელეგაციის გამგზავრების საკითხი, საქართველოსა და გაერო-ს შორისაა განსახილველი.

აღნიშნული განცხადება ელჩმა, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ქართული დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით წარმოქმნილი უთანხმოების კომენტირებისას გააკეთა და დასძინა, რომ ამერიკაში ნებისმიერ ქართულ დელეგაციას მიესალმებიან.

,,ნებისმიერი შემადგენლობის დელეგაციის გამგზავრება გაერო-ს ნებისმიერ ღონისძიებაზე, ეს არის ისეთი თემა, რომელიც თავად საქართველოსა და გაერო-ს შორის არის განსახილველი. აშშ-ის მთავრობის მხრიდან კი შემიძლია განვაცხადო, რომ ნებისმიერ ქართულ დელეგაციას ამერიკაში ყოველთვის მივესალმებით“,– განაცხადა ნორლანდმა.

საქართველოდან გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დასასწრებად, ორი დელეგაცია ემზადება. პრეზიდენტისა და მინისტრის შეხვედრაზე, დღეს საბოლოოდ უნდა გარკვეულიყო ვინ გაემგზავრება ნიუ-იორკში, პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით სერგეენკომ უკან დაიხია

## რეცეპტით გასაცემი ზოგიერთი მედიკამენტი შესაძლოა კვლავ ურეცეპტოდ გაიცეს

შორენა მარსაგიშვილი

**რეცეპტების სისტემის დანერგვა იმაზე უფრო მტკივნეული აღმოჩნდა, ვიდრე ეს მეოცნებე ხელისუფლებას წარმოედგინა. დავით სერგეენკოს მაღალფარდოვანმა შეგონებებმა ხალხის აღშფოთება ვერ გადაფარა. ამასთან, ვერც ის აუხსნეს საზოგადოებას, რა საჭირო იყო ამ სისტემის ასე ნაუცბათევი დანერგვა.**

**თავიდან ეს სისტემა „საათიაქო ნარკომანიის“ წინააღმდეგ ბრძოლის მიზეზით ახსნეს. რეცეპტებით გასაცემი წამლების სიაში პირველ ეტაპზე ფსიქოტროპული წამლები შეიტანეს. რასაც ყველა დადებითად შეხვდა.**

მერე, მადა ჭამაში მოუვიდათ და გადაწყვიტეს, წამლების დიდი ნაწილი რეცეპტებისთვის დაექვემდებარებინათ. თან უტიფრად გვიმტკიცებენ, ეს თქვენთვის არის კარგიო. ამის გარდა, ჭკუაც დაგვარიგეს, მხოლოდ ექიმის მიერ გამოწერილი წამლები უნდა დალიოთო. ნამუსზეც შეგვაგდეს, ევროპაში ადამიანი წელიწადში ორჯერ მაინც მიდის ექიმთან და გამოკვლევებს იტარებსო.

აქვე იმის თქმა დაავიწყდათ, რომ ევროპაში ცხოვრების სხვა დონეა და ხალხს ექიმთან მისასვლელი ფული აქვს. ექიმების კვალიფიკაციაზე აღარაფერს ვამბობთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სისტემის დანერგვას დიდი გაუგებრობები და უკმაყოფილება მოჰყვა, რამაც „ქართული ოცნების“ მინავლებულ რეიტინგზე უარყოფითად იმოქმედა. ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ჯანდაცვის სამინისტრომ უკან დახევა გადაწყვიტა. ამ დღეებში გაირკვა, რომ წამლების გარკვეული ნაწილი ამოღებული იქნება რეცეპტებით გასაცემი მედიკამენტების ნუსხიდან.

ამის პირობა რეცეპტების მამამ დავით სერგეენკომ დადო, რომელმაც 2 დღის წინ ისიც აღიარა, რომ ეს სისტემა ნაუცბათევად დაინერგა.

რეცეპტით გასაცემი ზოგიერთი მედიკამენტი შესაძლოა კვლავ ურეცეპტოდ გაიცეს. აღნიშნულზე, ჯანდაცვის მინისტრი და ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლები შეთანხმდნენ.

– ჩვენ გვაქვს ერთმანეთთან ძალიან კარგი თანამშრომლობა. შემოგვთავაზეს წინადადებები, რომელსაც კონკრეტული სახით დღის განმავლობაში მივიღებთ. ეს ეხებოდა რამდენიმე დასახელების მედიკამენტების გადატანის შემოთავაზებას რეცეპტით გასაცემიდან თავისუფლად გასაცემში. ამაში არანაირი შეზღუდვა არ არის. აგვისტოს განმავლობაში რამდენიმე ასეული ასეთი ცვლილება განხორციელდა და თითოეული მათგანი მიმართულია პაციენტის კომფორტული და უსაფრთხო სამედიცინო მომსახურებისკენ, – აცხადებს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო.

მისი განცხადებით, როგორც კი ფარმაცევტული კომპანიებისგან იმ მედიკამენტების სიას მიიღებენ, რომლის ურეცეპტოდ გაცემის რეკომენდაციასაც ისინი იძლევიან,

1500–მდე დასახელების წამალი თავისუფლად გასაცემ მედიკამენტთა კატეგორიაში გადავა.

როგორც დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დაწყებამდე განუცხადა, როგორც კი სია გადაეგზავნება, გააანალიზებენ და პაციენტზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

– უკვე განხორციელდა 1500-მდე დასახელების წამლის თავისუფლად გასაცემ მედიკამენტთა კატეგორიაში გადასვლა. რაც შეეხება ფარმაცევტული კომპანიების შეთავაზებას, მათგან სიები ჯერ არ მიმიღია. როგორც კი მივიღებთ, გავაანალიზებთ და მივიღებთ პაციენტზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებას, – განაცხადა სერგეენკომ.

მინისტრის უკან დახევამ ნაციონალური მოძრაობა ძალიან გაახარა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 2 დღის წინ ნაცმოძმა ამ თემაზე თავი სერიოზულად გაინერვიულა. მათ რეიტინგულ სერგეენკოს ის დარღვევები აუფრიალეს, რაც ახალი სისტემის დანერგვას მოჰყვა.

– 9 სექტემბერს ჯანდაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ აღიარა, რომ რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების სიის გაფართოება მოუმზადებლად და არაკვალიფიცურად მოხდა. შესაბამისად, მან პირობა დადო, რომ რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების სია გადაიხედება და წამლების ნაწილის გაყიდვა ურეცეპტოდ მოხდება. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დიდი ხნის განმავლობაში აფრთხილებდა მინისტრ სერგეენკოს, რომ რეცეპტის სისტემის ასე გაუაზრებლად გაფართოება თვითმკურნალობისა და მედიკამენტების უკონტროლო მოხმარების მაჩვენებელს ვერ შეამცირებდა. საზოგადოების მწვავე რეაქციამ ამ გაუაზრებელ რეფორმაზე ჯანდაცვის მინისტრი აიძულა უკან დაეხია. ჩვენ დაველოდებით მინისტრ სერგეენკოს მიერ გუშინწინ დადებული პირობის კაონკრეტულ შედეგებს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილებები სწრაფადაა მისაღები. უამრავ პენსიონერს, სოციალურად დაუცველს, ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანს უკვე შეექმნა სერიოზული პრობლემები, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების სიის გადახედვის გარდა, 2 დღის წინ, ნაციონალებმა კიდევ ერთი წინადადებით მიმართეს ჯანდაცვის მინისტრს.

– იმ მედიკამენტებზე, რომლებსაც ჯანდაცვის სამინისტრო რეცეპტით გასაცემთა სიაში დატოვებს, სამინისტრომ უნდა აამოქმედოს



პროგრამა, რომლითაც ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებსა და სოციალურად დაუცველებს სრულად დაუფინანსებს მოხმარებული მედიკამენტების ხარჯს. აღსანიშნავია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც რეცეპტის სისტემა არსებობს, რეცეპტით ადამიანები მედიკამენტებს უფასოდ ან მნიშვნელოვანი შეღავათებით იღებენ. თუ მინისტრი სერგეენკო რეცეპტის სისტემას აფართოებდა, მაშინ მედიკამენტების საფასურის გადახდაში მოსახლეობას სახელმწიფო უნდა დახმარებოდა. საყოველთაო ჯანდაცვა კი მედიკამენტებს საერთოდ არ აფინანსებს, – აცხადებს ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი.

ჭიაბერაშვილის აზრით, ამ ცვლილების გარეშე „რეცეპტის რეფორმაც“, თუნდაც შემცირდეს ჩამონათვალი, ისეთივე დამანგრეველი აღმოჩნდება ჯანდაცვის სისტემისათვის, როგორც ეს საყოველთაო ჯანდაცვა აღმოჩნდა.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „სახელმწიფო დაუნდობელი იქნება ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ქვეყანაში ქაოსის შექმნას შეეცდება“

შორენა მარსაგიშვილი

**ექსპერტები და პოლიტიკოსები პოლიტიკურად ცხელ შემოდგომას გვპირდებიან. ნაცმოძრაობამ უკვე ღიად დააანონსა ცხელი შემოდგომა. მძიმე სოციალურ ფონს მომატებული კრიმინალიც ემატება და ხალხის უკმაყოფილებაც იზრდება.**

**მოსალოდნელ არეულობაზე უკვე მეორედ გააკეთა განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ. პირველი განცხადება მან აპრილში გააკეთა, სადაც გვამცნო, რომ თბილისური მაიდნის მოსაწყობად ნაციონალებს მეორადი საბურავებიც კი ჰქონდათ შეძენილი.**

მინისტრის ინფორმაციით, ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კიევსა და თურქეთში გამართულ თათბირებზე, თანაგუნდელებს ქვეყანაში ქაოსის შესაქმნელად დავალებები მისცა.

– ჩემთვის ცნობილია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სააკაშვილმა პარტიის წევრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერებს ქვეყანაში ქაოსის შესაქმნელად კონკრეტული დავალებები და გეგმები მისცა. ეს დავალებები კიევსა და თურქეთში ჩატარებულ თათბირებზე გაიცა. გაცემულია დავალებები, რომ შექმნას კარგად ორგანიზებული 500-კაციანი მობილური ჯგუფი, რომელიც ცალკეულ მობილურ ჯგუფებად დაიყოფა. მათ პროვოკაციულად უნდა იმოქმედონ, მათ შორის პოლიციის თვალწინ და ეცადონ მოახდინონ პოლიციის პროვოცირება, მოაწყონ აგრესიული საპროტესტო აქციები. მათი მიზანია, შექმნან ნეგატიური ფონი როგორც ქართულ საზოგადოებაში, ისე უცხოურ მედიასა და დიპლომატიურ წრეებში, – განაცხადა „ალიასთან“ საუბარში შინაგან საქმეთა მინისტრმა.

ჭიკაიძის განცხადებით, ქაოსური ვითარების შექმნაში ეროვნული უმცირესობებისგან დაკომპლექტებული ჯგუფების ჩართვასაც გეგმავენ.

– სააკაშვილისვე დავალებით, ქაოსის გეგმის შექმნაში უნდა ჩართონ ეროვნული უმცირესობები, უნდა შეიქმნას ეროვნული უმცირესობებისგან დაკომპლექტებული მობილური ჯგუფები. ამ გეგმას, პირადად ვაცხადებ, რომ განხორციელება არ უწერია. ისინი ვერც იმ ილუზიას შექმნიან, რომ თითქოს ქვეყანაში ქაოსი და ანარქიაა. მათი სურვილები სურვილებად დარჩება. ვინც ანტიკონსტიტუციური გზით წავა და ქვეყანას საფრთხეს შეუქმნის, კანონის წინაშე ყველა უმკაცრესად დაისჯება, – აღნიშნავს ჭიკაიძე.

მინისტრის თქმით, სამინისტრო, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების აღსაკვეთად, კანონით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებას განახორციელებს.

– ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად შეთქმულების მომზადებას. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და გამოძიება მიმდინარეობს, – განმარტავს შსს-ს მინისტრი.

მსტოვართუხუცესის განცხადებას, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ალიაქოთი მოჰყვა. ნაციონალები ჭიკაიძის ამ განცხადებას ბოდვას უწოდებენ. ისინი შს მინისტრის პარლამენტში დაბარებასაც არ გამორიცხავენ.

მათგან განსხვავებით, შს მინისტრის განცხადებას სერიოზულად ეკიდებიან მთავრობის წევრები. ისინი ნაციონალებსაც მიმართავენ და ურჩევენ, ავი აზრებისგან თავი გაითავისუფლონ.



ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის, სოზარ სუბარის განცხადებით, მისი კოლეგა შინაგან საქმეთა სამინისტროდან ალექსანდრე ჭიკაიძე, განცხადებებს ჰაერზე არ აკეთებს.

– ნაციონალური მოძრაობა დღეს კი არა, ხელისუფლებაში რომ იყო, მაშინაც დესტაბილიზაციის მეტს არაფერს აკეთებდა. ეს მას ბუნებაში აქვს გამჯდარი – დესტაბილიზატორები არიან განცხადებებით, ქმედებებით და ყველაფრით. რაც შეეხება ჭიკაიძეს, ის მსგავს განცხადებებს ჰაერზე არ აკეთებს. მას აქვს გარკვეული ინფორმაცია და, შესაბამისად, ეს განცხადებები ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით აქვს გაკეთებული, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაციის საფრთხე არ არსებობს, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტრო გამართულად მუშაობს. მისი თქმით, ქვეყანაში დესტაბილიზაციის კუთხით ვერავინ ვერაფერს შეძლებს.

– როგორც ჩანს, შს მინისტრს აქვს ამის თქმის საფუძველი და ინფორმაცია, თუმცა, ქვეყანაში დესტაბილიზაციის კუთხით ვერავინ ვერაფერს შეძლებს, ვინაიდან ყველა ინსტიტუცია გამართულად მუშაობს, მათ შორის, განსაკუთრებულად მინდა მადლობა შსს-ს პირად შემადგენლობას და მის ხელმძღვანელობას გადავუხადო, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ალექსი პეტრიაშვილმა.

ვიცე-პრემიერი კახა კალაძე კი აცხადებს, რომ ოპონენტების მცდელობა, მოსახლეობა დაარწმუნონ, თითქოს ქვეყანაში არეულობაა, ვერ შედგება.

– არეულობების მოწყობას ნამდვილად ვერავინ გაბედავს, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები მაქსიმალურად აკონტროლებენ ყველაფერს და ეს არის მიზანმიმართულად ჩვენი ოპონენტების მხრიდან მცდელობა, რომ მოსახლეობას შეუქმნან ისეთი სიტუაცია, თითქოს მართლაც ყველაფერი არეულია, არავინ არავის არ ექვემდებარება, ეს არის ძალიან დიდი სირცხვილი. ყველაფერი არის კონტროლირებადი, – განაცხადა კალაძემ.

პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ მასაც აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობას გეგმავს.

– მინდა, ყველა იმ ადამიანს ვუთხრა, რომ ნებისმიერი მათი მცდელობა არეულობის შემოტანის, დასრულდება მათთვის ძალიან ცუდად. სახელმწიფო დგას თავის სიმაღლეზე და იქნება დაუნდობელი ყველა ასეთის მიმართ, ვინც გაბედავს რაიმე სახის დესტრუქციულ მოქმედებას. ჩვენს ქვეყანას აქვს სტაბილური ხანა, სტაბილური პერიოდი. ჩვენ არ გვაქვს ასეთ დესტრუქტორებზე დასახარჯი დრო. ამას მიხედავს შინაგან საქმეთა სამინისტრო. აქვე მინდა ვთქვა ისიც, რომ ჩემი ინფორმაციით, გამოძიება უკვე დაწყებულია, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა „ალიასთან“ საუბარში ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენულ ვითარებაზეც ისაუბრა. მინისტრის თქმით. ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარება არ გაუარესებულა.

ჭიკაიძის განცხადებით, გარკვეული ჯგუფები ცდილობენ, საზოგადოებაში განწყობა შექმნან, თითქოს კრიმინოგენული ვითარება გაუარესდა, რაც აბსურდია.

– იყო გარკვეული ინფორმაციები, რომ კონკრეტული ჯგუფები შინაგან საქმეთა სამინისტროზე იერიშის მიტანას აპირებდნენ. ისინი პიარკამპანიასა და პროპაგანდაში კარგად განსწავლულები არიან. მათ სცადეს, საზოგადოებაში განწყობა შეექმნათ, თითქოს კრიმინოგენული ვითარება გაუარესდა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კრიმინოგენული ვითარება არ გაუარესებულა, – განაცხადა ჭიკაიძემ.

მინისტრის განცხადებითვე, კრიმინოგენული ვითარების კუთხით არსებული სტატისტიკა წინა წლების სტატისტიკასთან შედარებით გაუმჯობესებულია.

– როცა ოპონენტები კრიმინალური ვითარების გაუარესებაზე საუბრობენ, აუცილებელია მათ ის სტატისტიკა შევახსენო, რაც რამდენიმე წლის წინ იყო და დღევანდელ სტატისტიკურ მონაცემებს შეადარონ, – აღნიშნავს მინისტრი.

ჭიკაიძის თქმითვე, კრიმინალი ყოველთვის მოხდება და ყველა შემთხვევის პრევენცია შეუძლებელია.

– ბოლო პერიოდში მომხდარი მკვლელობები ძირითადად, ოჯახურ გარჩევებს მოჰყვა. ასეთ ფაქტებზე პოლიცია პრევენციას ხშირ შემთხვევაში ვერ მოახდენს, რადგან ეს შეუძლებელია, – აცხადებს ალექსანდრე ჭიკაიძე.

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, გავრცელებულ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოკლულ ლაშა მახარაძის საქმეში ბრალდებული მისი ნათესავია, უარყოფს. მინისტრის განცხადებით, მისთვის უცნობია, რაში დასჭირდათ არსებული დეზინფორმაციის გავრცელება.

– დეზინფორმაცია გაავრცელეს, თითქოს გარდაცვლილ ლაშა მახარაძის მკვლელი ჩემი ნათესავია და ჭიკაიძე ხელს

**გაგრძელება მე-6 გვერდზე**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მანანა კობახიძე: „გიგი უგულავა ნაციონალებს სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდებს“

გულიკო ბალაძე



**პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე დარწმუნებულია, რომ, როდესაც მინისტრი ჭიკაიძე მოსალოდნელი არეულობის თაობაზე აცხადებდა, ამგვარი განცხადებების გაკეთების საკმარისი საფუძველი ჰქონდა.**

— არავითარი საფუძველი არ მაქვს, ეჭვი შევიტანო შს მინისტრის განცხადებაში. ამიტომ, ზოგადად, პარლამენტი უნდა ჩაუღრმავდეს, რა საშიშროება ემუქრება საზოგადოებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. პარლამენტში არსებობს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი, რომლის პირდაპირი ფუნქციაა, იყოს ძალიან აქტიურ კონტაქტში შს სამინისტროსთან, გაეცნოს იმ ინფორმაციას, რომელსაც ემყარება აღნიშნული განცხადებები. იმ განცხადებებში, რასაც ჩვენ ვისმენთ მედიაში, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები აანონსებენ არეულობებს. ამბობენ, რომ იგეგმება გარკვეული გამოსვლები. მსგავს მოსაზრებებს გამოთქვამს, სხვათა შორის, წიკლაურიც. ის აანონსებდა ასეთ გამოსვლებს. რა თქმა უნდა, მშვიდობიანი, თავისუფალი შეკრების უფლება ქვეყანაში დაცულია. ყველას აქვს უფლება, თავისი აზრი გამოთქვას. მათ შორის, შეიძლება ძალიან კრიტიკულიც, შეიძლება ხელისუფლებისთვის ძალიან მიუღებელიც, მაგრამ მშვიდობიანი ფორმით უნდა გამოხატოს. ნამდვილად არავის მივცემთ უფლებას, ქვეყანაში არიოს სიტუაცია. ეს ჯგუფი (ნაციონალური მოძრაობა) ზოგადად, მიდრეკილია ასეთი დესტრუქციული ქმედებებისკენ. ყველაზე მეტად ნაციონალებს აწყობთ ქვეყანაში ვითარების დაძაბვა, კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება, რომ რაღაც აპოკალიფსურად წარმოსახონ და შფოთვის მუდმივი საფუძველი მისცენ საზოგადოებას, — განაცხადა მანანა კობახიძემ ჟურნალისტების კითხვების საპასუხოდ, საინფორმაციო პორტალ „კვირის“ პრესკლუბში სტუმრობისას.

**რატომ სურთ ვითარების დაძაბვა, რატომ აკეთებენ ამას ნაციონალები? რატომ ცდილობენ ქვეყანაში ვითარების არევას?**

— ეს არის მათი სტილი. ამას აკეთებენ მხოლოდ იმიტომ, რომ შემდგომ მათ ისარგებლონ შექმნილი სიტუაციით. ყოფილი ხელისუფლების არაერთი წარმომადგენელი დღეს ციხეშია. მათგან ზოგი სასჯელს იხდის, ზოგი კი ბრალდების ფაზაშია. რა თქმა უნდა, მათ აწყობთ არეულობა. ისინი ხედავენ, რომ მართლმსაჯულებას ვერ გაექცნენ, სასამართლო პროცესები მიდის მათ წინააღმდეგ. ალბათ, ერთადერთი, რაშიც შეიძლება გამოსავალი დაინახონ, ეს არის ქვეყანაში არეულობის მოწყობა. ისინი ფიქრობენ, რომ შეძლებენ ისარგებლონ ამ არეულობით. კარგია, რომ შს მინისტრი ასეთი განცხადებით პრევენციას ახდენს. კარგია, რომ საქმის კურსშია. ოპერატიული მუშაობა სწორედ ამას გულისხმობს. დარწმუნებული ვარ, ეს არ არის ჰაერზე ნათქვამი სიტყვები. სიტუაცია აბსოლუტური კონტროლის ქვეშ უნდა იყოს. ამის პასუხისმგებლობა მინისტრს, მთავრობას და მთელ გუნდს აქვს, — აცხადებს მანანა კობახიძე.

***— გიგი უგულავას წერილთან დაკავშირებით, რა რეალურ საფრთხეს ხედავთ?***

— წერილის შინაარსი ძალიან ახლოსაა მათ ქმედებებთან. არ ვიცი, თავად უგულავა რას აცხადებს, აღნიშნული წერილი ნამდვილად მისი დაწერილია თუ არა, ავთენტურია თუ არა. ამ შემთხვევაში ეს იურისტების განსახილველია. მე ვერ დავადასტურებ ამას. თუმცა, პრინციპში, ამ წერილის შინაარსით არეულობის მზადება ძალიან კარგად ჩანს. ამ წერილის შინაარსიდან ჩანს, როგორ შეიძლება გეგმავდეს თუნდაც პატიმრობაში მყოფი პირი გარკვეულ არეულობას გარეთ. ამ მხრივ თუ მივუდგებით, თავისთავად, ამ წერილის შინაარსი ძალიან საინტერესოა. ამიტომ, თუ ეს მართალია, თუ ეს რეალურად ის დოკუმენტია, რომელიც უგულავამ შექმნა და გამოაგზავნა, უკვე მტკიცებულებაა, რომელსაც სჭირდება სათანადოდ გამოკვლევა და, როგორც მტკიცებულების შეფასება. როგორც პოლიტიკოსი, ძალიან ბევრ საერთოს ვხედავ ამ წერილის შინაარსს, მასში გამოხატულ მოსაზრებებსა და იმ მოსაზრებებს შორის, რომელიც მათგან ისმის ძალიან ხშირად, თუ ნებავთ, პარლამენტის ტრიბუნიდან. ნაციონალური მოძრაობა რევანშისტულად განწყობილი ძალაა. ნაციონალებს ნამდვილად უჭირთ შეგუება იმ რეალობასთან, რომ მათ დაკარგეს ქვეყნის მართვის სადავეები და უწევთ პასუხისგება იმ ქმედებებზე, რასაც ისინი წლების განმავლობაში სჩადიოდნენ. ნაციონალებისთვის ამგვარი რეალობა ძნელად და რთულად შესაგუებელია, რაც იწვევს მათ რევანშისტულ განწყობებს, დესტრუქციული ქმედების არეულობის სურვილს. ამიტომაა, რომ თითოეული, თუნდაც ყოფით ნიადაგზე მომხდარი ტრაგედია, კონკრეტული მკვლელობა, კონკრეტული დანაშაულია, რომელიც ამ შემთხვევაში პოლიტიკასთან არ უნდა იყოს პირდაპირ დაკავშირებული. ეს არის კონკრეტული ყოფითი დანაშაული, მის პოლიტიზირებასაც ცდილობენ ადამიანები, რომლებიც არიან დამკვეთები, ორგანიზატორები და ავტორები გირგვლიანის საქმის, პოლიტიკური, შეკვეთილი მკვლელობების ავტორები. პოლიტიკური ძალა, რომელიც ასე მართავდა ქვეყანას, ყოფით ნიადაგზე განხორციელებულ დანაშაულს იყენებს საკუთარი მიზნებისთვის. თუმცა, ნებისმიერი დანაშაული, რა საფუძვლით და რა ნიადაგზეც უნდა იყოს მომხდარი, ხელისუფლებისთვის უნდა იყოს წუხილის მიზეზი. ნებისმიერი ადამიანის გარდაცვალება სამწუხაროა და პოლიტიკური ძალებისთვის სპეკულაციის თემა არ უნდა ხდებოდეს. უგულავას წერილის შინაარსი ძალიან ახლოსაა იმ განცხადებებთან, რასაც ისინი საჯაროდაც აკეთებენ. შს სამინისტროს ვალდებულებაა, მთლიანად აკონტროლებდეს სიტუაციას. სწორედ ამას ემსახურება ის პრევენციული ღონისძიებები (და არა – რეიდები. არ შეიძლება რეიდებზე იყოს საუბარი. სამართლებრივად ასეთი ტერმინი არ არსებობს და, ბუნებრივია, მას ვერც ჩაატარებს პოლიცია), რასაც ატარებს პოლიცია, რაც აუცილებელია, რომ უკანონო ბრუნვაში არსებული იარაღი იქნას აღმოჩენილი და ამოღებული. ძალიან ეფექტურად მიმდინარეობს ასეთი იარაღის აღმოჩენა, გამოვლენა, ამოღება. ზოგ შემთხვევაში, ნებაყოფლობით ჩაბარება. აღარ ვსაუბრობ ნარკოტიკებსა და ძალიან წარმატებულ ანტინარკოტიკულ ღონისძიებებზე. ამის პარალელურად, თუ ვინმე სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ რაღაცას გეგმავს. ეს შესწავლის საგანი უნდა გახდეს. ოპერატიული მუშაობა სწორედ ასეთი ინფორმაციის გამოვლენას უნდა ემსახურებოდეს და ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული. დანაშაულის მომზადებაც დანაშაულია. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებაც დანაშაულია. ამას სჭირდება გამოძიება, გამოკვლევა, შეფასება და სამართლებრივი ქმედებები. არ ვიცი, ეს წერილი, რეალურად, ეკუთვნის თუ არა გიგი უგულავას. შემიძლია მხოლოდ პოლიტიკური შეფასება გავაკეთო. თუ ამ წერილის შინაარსია ავთენტური და ეკუთვნის უგულავას, ჩემი აზრით, მასში გარდა პოლიტიკური გეგმებისა, რაც შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის სამოქმედო მიზანი და კანონის ფარგლებში იყოს განხორციელებული, პარალელურად ჩვენ ვხედავთ დანაშაულის მომზადების ნიშნებს.

***— წერილში რევოლუციის სცენარები რომ არის წარმოდგენილი, ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?***

— პირდაპირ გადატრიალებაა დაგეგმილი. ერთ-ერთი სცენარი ზუსტად არის ე.წ. რევოლუციური სცენარი, რომელიც მათ ძალიან აწყობთ. ისინი იმ აზრსაც ადასტურებენ, რომ რეალურად, მათი ელექტორატი, მათი მხარდამჭერთა რაოდენობა არ იზრდება. თავადაც იციან და სამმა არჩევნებმაც დაადასტურა, რომ მათ ჰყავთ მკვეთრად გამოხატული რაოდენობა აქტივისტებისა (თავისი დასაყრდენი არასამთავრობოების, თავისი ოჯახის წევრების და საჯარო მოხელეებისა), რომლებიც პირდაპირ პოლიტიკური ნიშნით, ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერისთვის იყვნენ დანიშნული და შემდეგ გათავისუფლებული. ისინი გამოხატავენ მათ მიმართ სიმპათიას. ელექტორატის გარკვეული ოდენობაა, რომელიც არ იზრდება და ვერც გაიზრდება. ცოტა ნაადრევია 2016 წლის არჩევნებზე საუბარი, მაგრამ, დამერწმუნეთ, არანაირი შანსი 2016 წლის არჩევნებში გამარჯვებისა, ნაციონალებს არ აქვთ. ეს ძალიან კარგად იციან. ამიტომ მათი წუხილები ასეთი აგრესიული ფორმებითაა გამოხატული. ისინი დღესაც ღიად და ცხადად ჯოჯოხეთის მოწყობითა და სულს ამოხდით იმუქრებიან, რაც ლეიტმოტივად გასდევს მათ პოლიტიკას. ეს ახმოვანებს მათ მიდრეკილებას ძალადობისადმი, მმართველობის ისეთი სტილისადმი, რომელიც ემყარება ადამიანების მიმართ ანგარიშსწორებასა და ძალადობას.

***— რა აზრის ხართ შს სამინისტროს გაყოფაზე?***

— არ ვიცი, საიდან მოხდა ამ ეტაპზე ამ თემის გააქტიურება. ამასთან დაკავშირებით კანონპროექტი პარლამენტში შემოტანილი არ არის. თუმცა, ვფიქრობ, ამ საკითხზე დისკუსიის ადგილი და არეალია საკონსტიტუციო კომისიაში. შემოდგომაზე გავააქტიურებთ ამ კომისიის მუშაობას. ამ წუთში ეს საკითხი პარლამენტში არ განიხილება. თუმცა, თუ მთავრობის მიერ იქნება ინიცირებული, გადაწყვეტილებას მივიღებთ. ეს მოსაზრება არსებობდა. ამ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება. ჰყავს მომხრეები და, შეიძლება, მოწინააღმდეგეებიც. მზად ვართ ეს თემა განვიხილოთ საკონსტიტუციო კომისიის ფორმატში. მე ვარ ამ კომისიის წევრი.

***— პირადად თქვენ თუ ემხრობით შს სამინისტროს გაყოფას?***

— პირადად მე, ვფიქრობ, რომ ერთი დიდი სამინისტროს სტრუქტურის ქვეშ ამ ორი უწყების გაერთიანება შეიძლება გარკვეულ რისკებს შეიცავდეს. თუმცა, ეს არის იურისტების, სახელმწიფო სამართლის სპეციალისტების მსჯელობის საგანი.

***— პროკურატურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით პრემიები აიღეს. საუბარია 4 მილიონ ლარზე. თქვენი დამოკიდებულება როგორია?***

— პრემიების გაცემასთან დაკავშირებით ჩვენ კანონპროექტის ინიცირებაც კი მოვახდინეთ, რასაც საშემოდგომო სესიებზე განვიხილავთ. მოხდება ცვლილება და საკანონმდებლო ჩარჩოში მოექცევა ეს საკითხი, რომელიც ასე ძალიან აწუხებს საზოგადოებას. ძალიან მნიშვნელოვანია მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა. როცა საჯარო მოხელე მუშაობს კარგად, იმაზე მეტ სამუშაოს ასრულებს, რომელსაც ჩვეულებრივ უნდა ასრულებდეს, მან უნდა აიღოს პრემია. პროკურატურაში შესულია ზღვა საჩივრები. ათასობით საქმეა, რომელიც ითხოვს ძალიან დიდ დროსა და ძალისხმევას. მე პირადად იმის მომხრე ვარ, რომ პროკურორს ჰქონდეს შესაბამისი ანაზღაურება (ოღონდ დროულად მოხდეს რეაგირება, განცხადებებზე პასუხი), რაც იქნება პრევენციაც, რომ ის არ აიღებს ქრთამს. ძალიან მაღალი რისკია, რომ პროკურორს საქმის წარმოებისას არ გაუჩნდეს ცდუნება. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ პროკურორი იყოს უზრუნველყოფილი, რომ ეფექტურად და ხარისხიანად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. პრემირების სისტემა დანაშაული არ არის, მაგრამ უნდა გაირკვეს, რამდენ ადამიანს, რისთვის და რა დამსახურებისთვის მიეცათ პრემიები. პრემია უნდა იყოს სამუშაოს შესაბამისი. გავიხსენოთ, თვითონ ნაციონალები რამდენ პრემიებს ღებულობდნენ. გავიხსენოთ ადეიშვილის, მერაბიშვილის, ბაქრაძისა და სხვათა მიღებული პრემიები. როგორც საინფორმაციო საშუალებებით გავიგე, მხოლოდ ერთ წელში, გასულ წელს, სევდია უგრეხელიძეს 80 ათასი ლარი აუღია.

## ბათუმში პატრულის ორი თანამშრომელი პასუხისგებაში მიეცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე, ბათუმში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ორი თანამშრომელი პასუხისგებაში მისცეს.

ამის შესახებ ინფორმაცია „ნიუსპრესს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში დაუდასტურეს.

უწყების ინფორმაციით, პატრულის თანამშრომლების მიმართ, გამოძიება სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## პოლიციამ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს ქობულეთის რაიონული სამმართველოს მუხაესტატეს პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ქობულეთის რაიონში, 1946 წელს დაბადებული იოსებ ქ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართადამცველებმა ქობულეთის რაიონის სოფელ ზენითში, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ეზოში დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას, ნაგანის ტიპის რევოლვერი ორი ვაზნით, ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით ამოღებული იარაღი და ვაზნები სასროლად ვარგისია.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

## ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება–გასაღების ფაქტზე ოთხი პიროვნება დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების ჯგუფურად დამზადება-გასაღების ფაქტზე ოთხი პიროვნება დააკავა.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ერმილე გახოკიძემ, ზურაბ ტაბიძემ, პაატა ტოგონიძემ და ოთარ ჩოგოვაძემ, დაამზადეს და მეწარმე სუბიექტზე გაასაღეს ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადებები, თითქოს, ერთ-ერთ მეწარმეს, მათ დიდი ოდენობის ღირებულების დამუშავებული ხის მასალა მიაწოდეს.

ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება – გასაღების სანაცვლოდ, დაკავებულებმა 9 650 ლარი აიღეს.

დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიება 210-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც 4-დან 7 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

მედიანიუსი

## სასწრაფო დახმარების სამსახურის თანამშრომლებს ხელფასები გაეზრდებათ




თბილისის მერის, დავით ნარმანიას განცხადებით, ოქტომბრიდან, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მედიკოსები გაზრდილ ხელფასებს მიიღებენ. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა და აღნიშნა, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლებს ხელფასი 100-დან 150 ლარამდე, პრიორიტეტების მიხედვით გაეზრდებათ.

ნარმანიას განცხადებითვე, იგეგმება სამედიცინო დახმარების სამსახურის ტექნიკის განახლებაც. კერძოდ, უკვე 13 ერთეული სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანაა შეძენილი და წლის ბოლომდე ავტოპარკი მთლიანად განახლდება.

„ოქტომბრიდან სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემაში მომუშავე თანამშრომლები გაზრდილ ანაზღაურებას მიიღებენ. ამასთანავე, 13 ერთეული ავტომანქანა უკვე შეძენილია, ეს ავტომანაქანები ჩაენაცვლებიან და პარკი უფრო მეტად განახლდება“,-განაცხადა ნარმანიამ.

ნიუსპრესი

## ნორლანდი: იმედია, სააკაშვილის წინააღმდეგ წარმოებული საქმეები გამჭვირვალედ წარიმართება“

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნირლანდი იმედოვნებს, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ წარმოებული საქმეები გამჭვირვალედ წარიმართება. ამის შესახებ მან ამერიკელი სენატორის ჯონ მაკკეინის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას აღნიშნა.

ნორლანდის თქმით, აშშ იმედოვნებს, რომ მთელი ენერგია ქვეყნის მომავლისკენ იქნება მიმართული.

„სენატორ მაკკეინის განცხადება არ მინახავს, მაგრამ სამართლიანობის აღდგენის პროცესი სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის უმაღლესი სტანდარტების დაცვით უნდა წარიმართოს. აშშ-ც და ქართველი ხალხიც იმედოვნებს, რომ მთელი ენერგია ქვეყნის მომავლისკენ იქნება მიმართული და ეს შეძლებისდაგვარად, მალე მოხდება“, — განაცხადა ნორმალნმა.

სენატორმა მაკკეინმა განაცხადა, რომ შესაძლოა, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საქმემ საქართველო-ამერიკის ურთიერთობებზე გავლენა იქონიოს და ზიანი მოუტანოს.

მისივე თქმით, სააკაშვილის მიმართ სამართლებრივი დევნა პოლიტიკურ ელფერს ატარებს.

ნიუსპრესი

# ჯონდი ბაღათურია: „აუცილებლად უნდა გადაიხედოს ჩვენი საგარეო კურსი“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ეხმაურება. ბაღათურიას განცხადებით, საინფორმაციო ველში კინკლაობა იმის შესახებ, თუ ვინ რომელ სამიტზე უნდა წავიდეს, ან შეიძლება თუ არა გაეროში ორი დელეგაციით წასვლა, ეს სრულიად არასერიოზულად გამოიყურება. მე მესმის, რომ მთავრობასა და პრეზიდენტს შორის არსებულ დაპირისპირებას რაიმე საფუძველი ჰქონდეს, მაგრამ ასეთი საკითხები მოლაპარაკების გზით უნდა გვარდებოდეს.**

**ჯონდი ბაღათურია:**

– პრინციპულად მიუღებელია, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი გამოდის და პრეზიდენტს ურჩევს ტელეეთერებიდან საქმეს. არ უნდა წამოხვიდე, ეს უხერხული იქნებაო. ჩემთვის გაუგებარია, რატომ იქნება უხერხული, თუკი ორი დელეგაციის წასვლა უხერხულია, მაშინ დაილაპარაკონ, შეთანხმდნენ და ერთი დელეგაციით წავიდნენ. საზოგადოებას თავი რატომ მოაბეზრეს ამდენი სისულელით?! შიდა სამზარეულოს ეკრანზე გამოტანა სრულიად არასერიოზულად გამოიყურება. მე არ გამოვრიცხავ, რომ მარგველაშვილმა მალე საკუთარი პოლიტიკური გუნდი შემოიკრიბოს გარშემო. ცხადია, რომ ოცნება ერთიანი გუნდი აღარ არის. მარგველაშვილი, რომელიც ერთადერთი არჩეული პირია ქვეყანაში, საკმაოდ მაღალი ლეგიტიმაციის მქონე, მას არანაირი პოლიტიკური დასაყრდენი არა აქვს. შესაბამისად სავსებით ლოგიკურია, რომ ის შეეცადოს თავისი დასაყრდენი პოლიტიკური გუნდის ჩამოყალიბებას. ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ.

***– თქვენ ვის მოიაზრებთ მის გუნდში? საუბრობენ, რომ მის ზურგს უკან ირაკლი ალასანია დგასო...***

– ნამდვილად არ მიყვარს სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფა, თუმცა გამორიცხული არაფერია. მე მაინც არა მგონია, რომ ამ ეტაპზე კოალიციაში შემავალი პარტიებიდან რომელიმე შეუერთდეს მარგველაშვილს. ეს შიდა მიგრაცია, რყევები, რა თქმა უნდა, არის კოალიციის შიგნით, მაგრამ ეს ცვლილებები საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე მოხდება. მანამდე ყველანაირად შეეცდებიან, შეინარჩუნონ ის უმრავლესობა. იმიტომ, რომ სწორედ ამ უმრავლესობით აქვთ ეს ძალაუფლება და ეს ძალაუფლება მათთვის იმდენად ტკბილი და კომფორტულია, რომ არა მგონია, ამას შეელიონ. ამ გუნდს საპარლამენტო არჩევნების მოახლოებამდე არ დაშლიან, აი, არჩევნების წინ კი ცალ-ცალკე იქნებიან. რადგან არა მგონია „ქართულმა ოცნებამ“ ამდენი ბალასტი კიდევ ჩამოიკიდოს, რამდენიც ახლა ჰყავს ჩამოკიდებული.

***– ესე იგი ამ ეტაპისთვის არ ელოდებით კოალიციის დაშლას?***

– ფორმალურად ინარჩუნებენ ერთიან სახეს, თორემ კოალიცია უკვე დიდი ხანია დაშლილ-დაქუცმაცებულია. ისეთი დაპირისპირებებია შიგნით, ვერ წარმოიდგენთ, მაგრამ მათი მიზიდულობა მდგომარეობს ძალაუფლების შენარჩუნებაში. მაგათმა ძალიან კარგად იციან, რომ თუ დაიშლებიან, ძალაუფლებასაც დაკარგავენ. დღეს კი ვხედავთ, როგორ განცხრომაში არიან. სხედან ჯიპებზე, ინაწილებენ ბიზნესებს და თანაც უკანონოდ. ყველა არა, მაგრამ „ქართული ოცნების“ დიდი ნაწილი სწორედ ამ საქმით არის დაკავებული, ამიტომ ამ „სიკეთეებს“ ვერ შეელევიან. სანამ ხალხი არ წაართმევს მათ ამ ინსტრუმენტებს და ამის კეთების უფლებას, თვითონ, საკუთარ თავს ამ ინსტრუმენტს არ წაართმევენ. ამიტომ ეს კრავს ამ გუნდს. ეს ინარჩუნებს ამ გუნდს. მათი სურვილი, რომ გააგრძელონ კომფორტულად ცხოვრება. არა და, მდგომარეობა ყველამ კარგად ვიცით, როგორია, თუ ვინმემ ხმები აიღო, ეს იყო ივანიშვილი და საკუთრივ პარტია „ქართული ოცნება“. ეს დღესაც მშვენივრად იციან, რომ სხვა ვერც ერთი პარტია, ბარიერს კი არა მაქსიმუმ 2-3%-ს ძლივს აიღებდა. ერთი ალასანიას პარტიას უფრო მეტი პერსპექტივები აქვს. იმიტომაც არის ხოლმე, რომ მუდმივად ალასანიას ირგვლივ არის ასეთი ჟივილ-ხივილი. თუმცა მე არ მაქვს ინფორმაცია, რომ ისინი გამიჯვნას აპირებდნენ კოალიციისგან.



***– რაც შეეხება კიდევ ერთ თემას, საკადრო პოლიტიკას, რაზეც ყველაზე მეტად უჩივიან ახალ ხელისუფლებას. თუკი ვინმე, სადმე ინიშნება, გავიხედავთ და ყველა ოცნებაში გადასული ყოფილი ნაციონალია. კადრების სიმცირეს განიცდიან თუ რატომ აწინაურებენ ყოფილ ნაციონალებს?***

– არავითარი კადრების სიმცირე არა აქვთ, უბრალოდ, კადრებს იქ არ ეძებენ, სადაც საჭიროა. კადრებს მხოლოდ და მხოლოდ ეძებენ საკუთარ გარემოცვაში. რაც შეეხება ნაციონალების კადრებს, თვითონ „ქართული ოცნება“ ვინ არის? „ქართული ოცნების“ ძირითადი შემადგენლობა, მისი 80% არიან ყოფილი ნაციონალური მოძრაობის ლიდერები და მათგან მე ძალიან ცოტა ვიცი, რომელიც პრინციპების გამო გაემიჯნა ნაციონალურ მოძრაობას და რამე ცნობიერებით, ან იდეოლოგიურ ნიადაგზე მოუვიდა კონფლიქტი სააკაშვილთან. ზოგი გამოაგდეს ნაციონალური მოძრაობიდან და თავი შეაფარა ჩვენთან ოპოზიციაში, ზოგი უბრალოდ გაემიჯნა იმიტომ, რომ მისი ამბიციები არ დააკმაყოფილეს და იფიქრა, რომ დროა გადავიდეს ოპოზიციაში. ზოგს ადრე მოუვიდა წამოსვლა და მერე ლოდინი მოუწია, ვიდრე ახალ „კრიშას“ იპოვიდა და ზოგმა ძალიან დააგვიანა და არჩევნების მერე გადავიდა „ოცნებაში“.

***– არასაპარლამენტო ოპოზიციას რაც შეეხება, საუბარი იყო, რომ შემოდგომიდან გააქტიურებას გეგმავდით, რა გეგმები გაქვთ, რას აპირებთ?***

– დიახ, ჩვენ ვგეგმავთ განსაკუთრებულ აქტიობას. ძალიან გამწვავდა და აქტუალური გახდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი. იმიტომ რომ ყველამ იცის უკვე, რომ ასეთი რაოდენობით ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში არავის არ აურჩევია. ამიტომ ახალი არჩევნები, ერთი მხრივ, ნაციონალური მოძრაობის შემადგენლობას შეკვეცავს, მეორე მხრივ, „ქართული ოცნების“ შემადგენლობას შეკვეცავს და გადაახარისხებს, გაცხრილავს „ქართულ ოცნებას“. უსუფაშვილის მაგვარი სუბიექტები აღარ გვეყოლება პარლამენტის თავმჯდომარედ და მნიშვნელოვანი შემადგენლობით შევა მესამე ძალა, ჩვენი, ერთიანი ოპოზიციის სახით, რომელიც შეძლებს ეს ძალები დააბალანსოს და აიძულოს „ქართული ოცნება“ წამოვიდეს რეფორმებზე. ასევე აუცილებლად უნდა გადაიხედოს ჩვენი საგარეო კურსი, ეს უნდა გახდეს უფრო რაციონალური, ქვეყნისთვის სასარგებლო, სახელმწიფოსთვის სასარგებლო და არა კონკრეტული ჩინოვნიკებისთვის.

***– რატომღაც ვერ ხედავს საზოგადოება ოპოზიციის აქტიურობას, უკვე შემოდგომაა...***

– არ არის სავალდებულო, რომ ყველაფერი გაზეთის ფურცლებიდან მოვყვეთ. ჩვენ ვმუშაობთ, ვაკეთებთ ანალიზს, ვხვდებით ხალხს, კონსულტაციებს ვმართავთ ერთმანეთში, ასე რომ, გააქტიურება იქნება. ჩვენ დღესაც ვაქტიურობთ, მაგრამ სრულიად სამარცხვინოდ კიდევ უფრო მეტად არის დახურული დღეს საინფორმაციო ველი ჩვენთვის, ვიდრე ეს იყო წარსულში. არც ერთი ცენტრალური ტელევიზია არ აშუქებს ჩვენი კოალიციის ლიდერების პოლიტიკურ აქტივობებს.

# კახა კახიშვილი: „პოლიტიკაში მოსვლას არ ვფიქრობ“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელ კახა კახიშვილთან

***– ბატონო კახი, შემოდგომის დადგომასთან ერთად გააქტიურდა საუბარი იმის თაობაზე, რომ კოალიციაში სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელიო, თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?***

– არ ვიცი, ვინ საუბრობს კოალიციაში შემოდგომაზე ცვლილებებთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტია, რომ ცვლილებები ალბათ განხორციელდება 2016 წლისთვის. როდესაც უკვე აქტიურ ფაზაში გადავა მზადება საპარლამენტო არჩევნებისთვის, მაგრამ ამ ეტაპზე რომ რაღაცა ტიპის ცვლილებები განხორციელდეს, მე ამას არ ვვარაუდობ. იმიტომ, რომ რეალურად ეს არის ის კოალიცია, რომელიც გაერთიანებულია ივანიშვილის გარშემო, ივანიშვილის გადაწყვეტილებით, ივანიშვილის მიერ შერჩეული პოლიტიკური პარტიებით. ეს პოლიტიკური პარტიები არ გაერთიანებულან კონკრეტულად რაღაცა იდეის გარშემო. ეს პოლიტიკური პარტიები გაერთიანდნენ და მათი გაერთიანების სტიმული იყო ან ხელისუფლებაში მოსვლა, ან თუნდაც წარმომადგენლობითი ოპოზიციით პარლამენტში შესვლა. ასე რომ, ამ კოალიციაში აღმოჩნდებოდნენ ნებისმიერი სხვა სუბიექტებიც, იმ შემთხვევში, რომ ბიძინა ივანიშვილს ჰქონოდა ამის სურვილი. შესაძლებელია დღეს არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილიც აღმოჩენილიყო ხელისუფლებაში, ასეთი სურვილი რომ ჰქონოდა ბიძინა ივანიშვილს 2012 წლის არჩევნებისთვის. ასე რომ, ეს პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც დღეს არიან გაერთიანებულები კოალიციაში, ეს პოლიტიკური სუბიექტები არ არიან ერთი იდეოლოგიის გარშემო გაერტიანებული პოლიტიკური სუბიექტები. მათი ნომერ პირველი ამოცანა იყო, რაიმე ფორმებით ბიძინა ივანიშვილთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება და კოალიციაში შესვლა. მათ ნომერ მეორე ამოცანად აქვთ, რაც შეიძლება დიდხანს დარჩნენ ხელისუფლებაში, იმისთვის, რომ გაიმაგრონ საკუთარი პოზიციები, როგორც ფინანსურად, ისე მორალურად და უკვე როდესაც „ოცნება“ შესუსტდება, შემდგომში ჩაანაცვლონ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ან ჩააჩოჩონ ნომერ მეორე პოლიტიკური ოპოზიციის რანგში. ყველას ძალიან კარგად ესმის, რომ დიდხანს კოალიციის ერთობა ვერ გაგრძელდება. ამიტომ ბუნებრივიცაა და ლოგიკურიც, რომ ზოგიერთი კოალიციაში შემავალი ლიდერი ცდილობს საკუთარი პოლიტიკური პარტიის გაძლიერებას.



***– როდის მოხდება ეს ცვლილებები კოალიციაში?***

– ეს დამოკიდებულია კონკრეტულ პოლიტიკურ პროცესზე. შეიძლება კარგი ურთიერთობები არ ჰქონდეთ კოალიციის შიგნით, მაგრამ ყველა არის მოლოდინის რეჟიმში. ერთი მხრივ, არ უნდათ კოალიციიდან გამოსვლა, რადგან ეს უკავშირდება ხელისუფლებიდან წასვლას. მიაჩნიათ, რომ ეს ნაადრევია, ვინაიდან საპარლამენტო არჩევნებამდე ორი წელია. თავად პარტია „ქართულ ოცნებაშიც“ კარგად იციან, რომ ასეთმა არაჰარმონიულმა ურთიერთობებმა შეიძლება სერიოზული პრობლემები შეუქმნას მათ პარტიას. ამიტომ ვამბობ, რომ ახლა მიდის ნერვების ომი. ერთი მხრივ, ღარიბაშვილი ელოდება ხელსაყრელ მომენტს, როდის ჩაანაცვლებს მინისტრთა კაბინეტში იმ მინისტრებს, რომლებიც ზრუნავენ უფრო თავის პოლიტიკურ მომავალზე, იმ მინისტრებით, რომლებიც იზრუნებენ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმატებაზე. ასევე საკუთარ კარიერაზე მოფიქრალი მინისტრები ელოდებიან ხელსაყრელ მომენტს, რომ დაასწრონ ღარიბაშვილის გადაწყვეტილებას მათი თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე და დაახლოებით ის გზა გაიარონ, რაც გაირა მიშამ 2000-დან 2003 წლამდე.

***– რას ფიქრობთ პრეზიდენტ მარგველაშვილზე?***

– ის, რომ მარგველაშვილი ფიქრობს პრეზიდენტის ინსტიტუტის როლის გაძლიერებაზე, ეს ჩემთვის გასაგებია. ეს პირდაპირ და აშკარად იკვეთება, მაგრამ რამდენად აგროვებს ის პოლიტიკურ გუნდს მომავალი პოლიტიკური საქმიანობისთვის, ამის ნიშნები ჯერჯერობით არ არსებობს. მეტიც, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, პრეზიდენტს ვერ ეყოლება პარტია, პრეზიდენტი ვერ იქნება რომელიმე პარტიის თავმჯდომარე, მაგრამ სულაც რ არის გამორიცხული 2016 წლამდე შეიქმნას პოლიტიკური ძალა, რომელიც ამავდროულად ითანამშრომლებს პრეზიდენტ მარგველაშვილთან. შეიძლება ბევრი ისეთი აღმოჩნდეს ამ გუნდში ვინც დღეს მყარად გრძნობს თავს კოალიციაში.

***– რასთან არის ეს პროცესი დაკავშირებული?***

– ეს დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო კვოტებთან, მე ვგულისხმობ სიის კვოტებს, მაჟორიტარულ კვოტებს და ასევე დაკავშირებულია თანამდებობებთან. თუ ვინმე ნახავს, რომ მისთვის არ არის ადგილი, არც 2016 წლის მთავრობაში, არც 2016 წლის საპარლამენტო სიაში, რა თქმა უნდა, ის შეეცდება მონახოს ალტერნატიული ცენტრი, საიდანაც უზრუნველყოფს საკუთარ პოლიტიკურ მომავალს. ერთ-ერთ ცენტრად შესაძლებელია განიხილებოდეს დავუშვათ იგივე მარგველაშვილი.

***– გავრცელებული ინფორმაციით, თითქოს თქვენც აპირებთ პოლიტიკაში წასვლას და სწორედ მარგველაშვილის გუნდში მოიაზრებით. რამდენად შეეფერება ეს ყველაფერი სიმართლეს?***

– ეს უბრალოდ დაიწერა წერილში, რომლის ავტორობაც უკავშირდება გიგი უგულავას. მე ვერ გეტყვით, რომ ეს ნამდვილად არის უგულავას წერილი, რადგან თავად უგულავა ამას კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ დიახ, გაჟღერდა. ამაზე მე რა პასუხი უნდა მქონდეს? ერთადერთი პასუხი მაქვს, ამ ეტაპზე მე არ ვფიქრობ პოლიტიკაში შესვლაზე და შესაბამისად არც იმაზე მიფიქრია, რომელი გუნდიდან შევალ პოლიტიკაში. თუ გადავწყვეტ როდესღაც, რომ დრო არის ჩემი პოლიტიკაში შესვლის, ან ამის საჭიროება, შემდგომში უკვე ვიფიქრებ, რომელი გუნდიდან შევიდე პოლიტიკაში. ეს იქნება „ქართული ოცნება“ თუ სხვა პოლიტიკური ძალა, ამის შესახებ არც მიფიქრია.

***– რადგან უგულავას წერილი ვახსენეთ, როგორ ფიქრობთ, ეს წერილი შეგნებულად არის შემოგდებული?***

– იცით, რა არის, ეს წერილი შეიძლება ორივეს აწყობდეს. აქედან გამომდინარე, ვერ იტყვი ვის ეკუთვნის. რთულია, დაადგინო წერილის ავთენტურობა, როდესაც თავად ის, ვიზეც საუბრობენ, რომ მისი წერილია, ამას უარყოფს. შინაარსობრივად ეს წერილი აწყობს როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე ნაციონალურ მოძრაობას. რატომ ოცნებას? იმიტომ, რომ ამ წერილში არის ნაციონალური მოძრაობის საფრთხე, რევოლუციური გზით, ამიტომ ეს მობილიზებას ახდენს არანაცმოძრაობის მხარდამჭერების ოცნების გარშემო. ეს წერილი ასევე აწყობს ნაციონალურ მოძრაობას იმისთვის, რომ უფრო მეტად მოახდინოს საკუთარი ამომრჩევლის მობილიზაცია, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული და შესაძლებელია ხელისუფლებაში დაბრუნება. ასე რომ, კონკრეტულად ვის ეკუთვნის ეს წერილი, ვერ გეტყვით.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „არ დაუშვათ შერჩევითი სამართალი!“

შორენა გონგლაძე

„დაიცავით ადამიანის უფლებები“, „არ დაუშვათ შერჩევითი სამართალი“ ამ შინაარსის ტრანსპარანტებით გუშინ სახელმწიფო კანცელარიასთან საპროტესტო აქცია გაიმართა. აქცია პარტია „მომავალი საქართველოს“ ორგანიზებით ჩატარდა, რომელსაც არასამთავრობო უფლებადამცველი ორგანიზაცებიც შეუერთდნენ. პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერის, გიორგი ლაღიძის განცხადებით, ეს არის გამაფრთხილებელი აქცია და, შესაძლოა, პროტესტმა უფრო ფართო მასშტაბები მიიღოს.



**გიორგი ლაღიძე:**

– ჩვენი ძირითადი მოთხოვნა არის ქვეყანაში კრიმინოგენული მდგომარეობის გაუმჯობესება, ასევე ვითხოვთ შემოწმებების დროს შეწყდეს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და ამ ყველაფერთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ აიღოს პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მივმართავთ საქართველოს მთავრობას, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები, რათა ქვეყანაში დამყარდეს წესრიგი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის. დამერწმუნეთ, კრიმინოგენულ ვითარებას ლუდის სმისთვის ადამიანების დაჯარიმებით ვერ შეამცირებენ. დღევანდელი აქცია არის გამაფრთხილებელი და თუ უახლოეს ხანში ეს პრობლემა არ გადაწყდება, ჩვენ დავიწყებთ ფართომასშტაბიან აქციებს.

**ნათელა მშვენიერაძე – ადამიანის უფლებათა დამცველი:**

– ამ აქციის ჩატარება ნამდვილად დროული იყო. მართალია ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით ამ ე.წ. რეიდებს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ პოლიციელების მხრიდან დაცული უნდა იყოს კანონი.

**ვახტანგ ჟორდანია – „საქართველოს სოციალ–დემოკრატები“:**

– ეს აქცია ძირითადად პრევენციული ხასიათისაა, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ხელისუფლებამ დაიცვას ადამიანის უფლებები და სიცოცხლე. ჩვენ ერთმანეთთან კინკლაობით კი არ უნდა დავკავდეთ, რომ კრიმინალი რა დონეზე იყო 2012 წლამდე და რა დონეზეა ახლა, არამედ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ დანაშაული მინიმუმამდე დავიყვანოთ. ასევე ადამიანის უფლებებიც უნდა იქნეს დაცული პოლიციელის მხრიდანაც, უნდა გამოიჩინოს თავაზიანობა ყველა მოქალაქის მიმართ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა იზრუნოს, რომ სტრუქტურის შიგნით გაატაროს რეფორმები, რათა კრიმინალთან ბრძოლა უფრო მაღალ დონეზე იქნას აყვანილი.

**სოსო კორკელია:**

– ჩვენ ამ აქციით ქვეყანაში შექმნილი კრიმინოგენული მდგომარეობა გავაპროტესტეთ. ასევე გავაპროტესტეთ ე.წ. რეიდების დროს პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ რეიდები არის არაეფექტური, ვინაიდან კრიმინალი არ შემცირებულა და ეს მხოლოდ საზოგადოებაში შიშს და უკმაყოფილებას თესავს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „სახელმწიფო დაუნდობელი იქნება ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ქვეყანაში ქაოსის შექმნას შეეცდება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

აფარებსო. მკვლელობაში ეჭვმიტანილი ჩემს სახელს რატომ დაუკავშირეს, წარმოდგენა არ მაქვს. გამალებით ვიბრძვი, მკვლელი დავიჭირო და პასუხი ვაგებინო და ამ მიმართულებით წინსვლაც არის, – განაცხადა ჭიკაიძემ.

მინისტრი რამდენიმე დღის წინ, ვანში ყაჩაღების მიერ 4 წლის ბავშვის უთოთი წამების ფაქტსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ყველა დამნაშავე კანონის წინაშე პასუხს უმკაცრესად აგებს.

– ამ კადრების ნახვამ ჩემზე ძალიან მძიმედ იმოქმედა. ეს დანაშაული გახსნილია და დამნაშავე დაკავებული. ყველა დამნაშავე კანონის წინაშე პასუხს უმკაცრესად აგებს. ჩვენ ძლიერ სახელმწიფოს ვაშენებთ, სადაც თითოეული მოქალაქის უსაფრთხოების დაცვა ჩვენი ამოცანაა, – განაცხადა ალექსანდრე ჭიკაიძემ.

მისივე თქმით, ქვეყანაში პოლიციური კონტროლი საზოგადოების დაკვეთით განხორციელდა.

– მე საზოგადოების დაკვეთის გარეშე არ ვმოქმედებ, ჩემი ინიციატივით ისეთ რამეს არ ვაკეთებ, რომ მოსახლეობას უხერხულობა შევუქმნა. ამ შემთხვევაში, მე საზოგადოების დაკვეთით ვიხელმძღვანელე და პოლიციური კონტროლი განვახორციელე, რაც ძალიან დროული იყო. მე ჩემს თანამშრომლებს მოვთხოვე, რომ ყველა კანონდარღვევაზე ადეკვატური რეაქცია მოახდინონ, – განაცხადა ჭიკაიძემ.

მინისტრი გვპირდება, ის პირადად იზრუნებს, რომ შსს-ს თანამშრომლები კრიმინალები თავადვე არ გახდნენ, როგორც ეს წლების წინ იყო.

– მინდა ჩემი თანამშრომლები თვითონ არ გახდნენ კრიმინალები, მე ამას მივაღწევ. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში, თვითონ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან იყო ხალხი დაუცველი და შსს კრიმინალს თავად სჩადიოდა. კრიმინალებს არა ბინძური გზებით, არამედ კანონით უნდა ებრძოლო. ამასთანავე, მისი თქმით, არც ერთი ადამიანი არ უნდა დაიჩაგროს და უდანაშაულო ადამიანი პასუხისგებაში არ უნდა მიეცეს. ჩემს თანამშრომლებს მუდმივად ვაფრთხილებ, რომ უდანაშაულობის პრეზუმპცია არ დაარღვიონ. არც ერთი ადამიანი არ უნდა დაიჩაგროს და უდანაშაულო ადამიანი პასუხისგებაში არ უნდა მიეცეს. თუ ადამიანს დანაშაულს ვერ დაუმტკიცებენ, ნუ ეცდებიან მას ბინძური გზებით ებრძოლონ. კრიმინალებს კანონით და პროფესიონალიზმით უნდა ებრძოლონ და დაუმტკიცონ, რომ ის დამნაშავეა. პირი მხოლოდ ამის მერე მიეცემა პასუხისგებაში, – განაცხადა შს-ს მინისტრმა.

# მოვითხოვთ, გაიზარდის პენსიები!

შორენა გონგლაძე

მიუხედავად მრავალგზის ლამაზი დაპირებებისა, სახელმწიფო კანცელარია უკმაყოფილო მოქალაქეების სიმცირეს არ უჩივის. გუშინ მთავრობის კანცელარიასთან საპენსიო რეფორმის მოთხოვნით პენსიონერთა და შეზღუდული შესაძლებლობების პირთა აქცია გაიმართა, აქციას „ქართული დასის“ ლიდერი, ჯონდი ბაღათურიაც შეუერთდა. ბაღათურიას განცხადებით, დროა სახელმწიფომ იფიქროს ამ ადამიანებზე.

– მომავალ ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული პენსიების გაზრდა არც ერთი კატეგორიის პენსიონერებისთვის. დღეს მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მიმართონ პრემიერ-მინისტრს, შეიტანეს მის სახელზე კორექტული და გონიერი წერილი და მინდა გითხრათ, რომ ამ ადამიანების მოთხოვნები სავსებით სამართლიანია. დაელოდებიან პასუხს, რეაგირებას და თუ არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება და 2015 წლიდან ყველა პენსიონერს საარსებო მინიმუმამდე არ გაეზრდება პენსია, „ქართული დასი“ იქნება ორგანიზატორი ყველა კატეგორიის პენსიონერთა აქციის. აქ, კანცელარიასთან, გაიშლება კარვები და იქნება პერმანენტული ზეწოლა ხელისუფლებაზე, რომ უარი თქვას საკუთარ კომფორტებზე, ჯიპებზე, გაზრდილ ხელფასებსა და პრემიებზე, რითაც გამოირჩევიან „ქართული ოცნების“ ლიდერები და დაიწყოს დაფინანსება სოციალური პროექტების. პირველ რიგში კი, გატარდეს საპენსიო რეფორმა, რომელიც გულისხმობს პენსიის საარსებო მინიმუმამდე გაზრდას და შემდგომში პენსიის დიფერენციაციას, – განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

**ვალერი ოზმანოვი – უსინათლოთა უფლებათა დაცვის ასოციაციის წევრი.**

– როგორც ნოდარ ხადური და გია კაკაჩია აცხადებენ, არც 2015 წელს და არც 2016-ში პენსიების ზრდა მოსალოდნელი არ არის, ეს ინფორმაცია გია კაკაჩიამ ჩემთან პირად საუბარშიც დაადასტურა. ჩვენ დღეს შევიკრიბეთ იმიტომ, რომ პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს მივმართოთ თხოვნით, შეიტანოს ცვლილება 2015 წლის ბიუჯეტში და ყველა პენსიონერისთვის იყოს პენსიის გაზრდა გათვალისწინებული, რა დაპირებაც ჰქონდა „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში მოსვლამდე.

**ზოია კოტაევა, აქციის მონაწილე:**

– „უსინათლოთა კავშირი ყურადღებას არ გვაქცევს, კავშირის ხელმძღვანელობა ყველანაირ ფუფუნებაშია, ამიტომ თავად უსინათლოებმა გამოვიჩინეთ ინიციატივა და დღეს კანცელარიასთან შევიკრიბეთ მოთხოვნით – მომავალ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს პენსიების მომატება პენსიონერთათვის.

აქციის მონაწილეების თქმით, ეს არ არის ერთჯერადი აქცია და მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ჩამოყალიბდება ჯგუფი, რომელიც კანცელარიასთან გაშლის კარავს და უვადო შიმშილობას გამოაცხადებს.

# კრიმინოგენული პარანოია

**ქვეყნის საბიუჯეტო კრიზისისა და ეკონომიკის „ჩამოშლის“ შემდეგ, გარკვეულ პოლიტიკურ ძალებსა და მათ მხარდამჭერ მედიასაშუალებებს დღეს ახალი თემა გაუჩნდათ — „კატასტროფული კრიმინალური ვითარება.“**

ფაქტია, რომ ქვეყანაში, სამწუხაროდ, მკვლელობის ფაქტები ფიქსირდება და თითოეული მსგავსი შემთხვევა, ისეთი დემოგრაფიული ფონდის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ორმაგი ტრაგედიაა, თუმცა იმ თემით აპელირება, რომ ქვეყანაში უმართავი ვითარებაა და სახლიდან გამოსვლაც კი საშიშია, აბსოლუტურად თითიდან გამოწოვილი და ყურით მოთრეულია.

დავიწყოთ იქედან, თუ რა ხდებოდა იმ ხელისუფლების დროს, რომელიც „უკიდურესად დამძიმებულ კრიმინალური“ ფონის გამო ყვირის და რა არის დღეს.

რა თქმა უნდა, მკვლელობები „ნაციონალური მოძრაობის“ დროსაც ხდებოდა და სამწუხაროდ, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს პრევენციული მექანიზმი, რომელიც მსგავს ფაქტებს გამორიცხავს.

ჟურნალისტებისთვის ალბათ ძნელად გასახსენებელი არ იქნება ის დრო, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროდან ნებისმიერი სახის ინფორმაციის გამოტანა ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა. ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა აგრეთვე, თუნდაც ზოგადი კომენტარის მოპოვება ამ უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში და ქვეყანაში მომხდარი და აუცილებლად გახსნილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციას, მედიაც და საზოგადოებაც მხოლოდ ერთი არხის მეშვეობით იგებდა.

რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, კრიმინალური ფონის რეალური სურათის შესახებ საზოგადოებას წარმოდგენა არანაირად არ ექნებოდა.

კიდევ ერთი ლოგიკური კითხვა ისმის: თუ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ქვეყანაში კრიმინალი არ იყო, მაშინ საიდან მოხვდა ციხეში ის 30 ათასამდე ადამიანი, რომელთა დიდ ნაწილსაც, წინა რეჟიმმა თავი ცოცხებით დაამახსოვრა?

გამოდის, რომ სააკაშვილის რეჟიმი უდანაშაულო ადამიანებს იჭერდა.

სწორედ ასეთ პარადოქსთან გვაქვს საქმე, როდესაც „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა ყვირილს ვისმენთ იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში მძიმე კრიმინალური ფონის გამო, თურმე ლამის სახლიდან გამოსვლაც კი აღარ შეიძლება.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო საჯარო ინფორმაციის კუთხით, მედიის წარმომადგენლებისთვის აბსოლუტურად ღია უწყებაა და იქ ნებისმიერი სიმძიმის დანაშაულის შესახებ კომენტარი კეთდება.

ამას ემატება ისიც, რომ წინა ხელისუფლების ჯერ კიდევ მეხოტბე მედიასაშუალებები სამინისტროს გახსნილობით სარგებლობენ და მაქსიმუმს აკეთებენ იმისთვის, რათა მძიმე სურათი დახატონ და შესაბამისად, საზოგადოების ქვეცნობიერში განცდა გააჩინონ, რომ ვანო მერაბიშვილი კარგი მინისტრი იყო.

რაც შეეხება მერაბიშვილს, ყველამ ძალიან კარგად იცის, თუ რა გზით დაამყარა მან ქვეყანაში „მართლწესრიგი.“

მერაბიშვილის მეთოდებიდან პირველი ის იყო, რაზეც უკვე ვისაუბრეთ და რასაც ინფორმაციის დამალვა და მხოლოდ გახსნილი დანაშაულის შესახებ ფაქტის გასაჯაროება ჰქვია.

მეორე მეთოდი კი ტოტალურ შიშს უკავშირდება.

მერაბიშვილის დროს, სრულიად საქართველოს მოსახლეობამ იცოდა, რომ შუშებიანი შენობის არაგამჭვირვალე სარდაფში მოხვედრა მინიმუმ, ტანჯვა-წამებითს გზით ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბის გაყვანის აღიარებას, მაქსიმუმ კი ცემით სიკვდილს უდრიდა.

შესაბამისად, პოლიციურ სახელმწიფოში, სადაც მედიასაშუალებების უდიდესი ნაწილიდან დაწყებული, სატელეფონო მოსმენებიც ტოტალურად კონტროლდებოდა და როცა გარკვეული ტელეკომპანიები მუდმივად ჩაგვძახოდნენ, რომ „ღამის 3 საათია და ყველაფერი იდეალურადააო“, რაღა თქმა უნდა, ადვილი იყო იმის ილუზიის შექმნა, რომ ქვეყანაში მართლწესრიგის ზეიმი იდგა.

გარდა ამისა, წინა ხელისუფლების დროს, კრიმინოგენული ვითარების შესუსტებას ხელს ისიც უწყობდა, რომ სახელმწიფო ნასამართლევი პირების არათუ რესოციალიზაციაზე არ ზრუნავდა, არამედ მათ საკუთარი სამშობლოდან პრაქტიკულად ადეპორტებდა.

თავად ვიცნობ რამდენიმე პირს, რომლებმაც სასჯელი „ნაციონალური მოძრაობის“ დროს მოიხადეს და რომლებსაც პოლიციის რაიონული განყოფილების უფროსები პერმანენტულად იბარებდნენ და პირდაპირ ითხოვდნენ, რომ მათ ქვეყანა დაეტოვებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკან შებრუნებითა და უფრო უარესებით ემუქრებოდნენ.

სხვათა შორის, ერთხელ მიხეილ სააკაშვილმა აღიარა კიდეც, ჩვენ უცხოეთში კრიმინალების ექსპორტს ვახორციელებთო.

ის, რომ დღეს ქვეყანაში იგივე კრიმინოგენული მდგომარეობაა, თავად „ნაციონალური მოძრაობის“ საქმეში ჩახედულმა წარმომადგენლებმაც კარგად იციან, მაგრამ მათ აგრეთვე კარგად იციან და ახსოვთ მათთვის აპრობირებული მეთოდი, რომ ხელისუფლებაში მოსასვლელად, პირველ რიგში საჭიროა არსებული ხელისუფლების სტრუქტურების დისკრედიტაცია მოახდინო, საზოგადოებაში მათდამი ნდობა გააქრო, ხოლო ამის შემდეგ, სხვადასხვა კანონიერი თუ არაკანონიერი მეთოდებით, შეცდომაში შეყვანილი საზოგადოება მართო და ხელისუფლებაში მოსასვლელად გამოიყენო.

საბედნიეროდ, დღეს იგივე საზოგადოების განწყობიდან გამომდინარე, ახლო მომავალში მსგავსი პროგნოზის საფუძველი არ არსებობს, თუმცა მიზანმიმართული საინფორმაციო კამპანია, თავის შედეგს ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოიღებს.

სახელმწიფო უწყებებიდან, ხელისუფლებაში მოსვლის გასაადვილებლად, ყველაზე მომგებიანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრედიტაციაა, რადგან საზოგადოება საკუთარი უფლებების, მათ შორის ქონებრივი და სიცოცხლის უფლების მიმართ, რა თქმა უნდა განსაკუთრებით მგრძნობიარეა და თუ მას დაარწმუნებ, რომ აღნიშნულ უფლებებს საფრთხე ემუქრება, მასის გადმობირებაც ძალიან გაადვილდება.

ყოფილი ხელისუფლებისა და მათი მხარდამჭერი მედიასაშუალებების კამპანიას საკმაოდ კარგად უბამს მხარს ე.წ. უფლებადამცველი არასამთავრობოების ის ნაწილი, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებად პირდაპირ აღიქმებიან.

ერთის მხრივ, ისინი და არა მარტო ისინი, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მძიმე კრიმინოგენული სურათი დახატონ, მეორეს მხრივ კი, ისტერიკებს ტეხენ ნებისმიერ პრევენციულ ფაქტთან დაკავშირებით, რასაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს.

სხვათა შორის, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ გონივრული ეჭვის საფუძველზე ქუჩაში პირის გაჩხრეკის დაშვებულობასთან დაკავშირებით, თავის დროზე კანონი სწორედ ნაციონალებმა მიიღეს, დღეს კი ისინი ამ კანონის სისრულეში მოყვანის ფაქტს ადამიანის უფლებების დარღვევად აფასებენ.

რაც შეეხება ქუჩის ე.წ. ბირჟების დაშლის ფაქტებს, ვანო მერაბიშვილის მინისტრობის დროს ამასაც რამდენჯერმე შევსწრებულვარ და საკუთარი ყურით მომისმენია ის „სასიამოვნო ლექსიკა,“ რომლითაც პოლიციელები შეკრებილ ბიჭებს საკუთარ სადარბაზოებთანვე მოუწოდებდნენ, რომ „სახლებში დაეხვიათ“. ეს „ბირჟის დაშლის“ ყველაზე უმტკივნეულო ფორმად მიიჩნეოდა, შეკამათების შემთხვევაში კი, გამორიცხული არ იყო, რომ ყველა დაეკავებინათ და მათ ჯიბეში მინიმუმ თითო აბი სუბოტექსი აღმოჩენილიყო.

დღეს კი, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთ ამბავს ტეხენ, თუ პოლიციამ სადმე ვინმე გაჩხრიკა და ამით დანაშაულის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებები გაატარა.

თუ ძალოვანმა უწყებამ პრევენციას არ მიმართა, მაშინ ნამდვილად ვერავინ ვერ იწინასწარმეტყველებს, რომელ კაფეში ან სკვერში მოხდება შელაპარაკება, რომელიც შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს.

დიახ, პოლიციამ პრევენციულ ღონისძიებებს ნამდვილად უნდა მიმართოს, თუნდაც საქმე პირად ჩხრეკას ეხებოდეს, მაგრამ ეს რაღა თქმა უნდა, ადამიანის უფლებების დაცულობის მაქსიმალური ხარისხის უზრუნველყოფით უნდა მოხდეს და არა ისე, როგორც ამას მერაბიშვილის დროინდელი პოლიციელები აკეთებდნენ.

კიდევ ერთი ფაქტი და ტენდენცია, რომელიც ქვეყანაში ხელისუფლების ცვლის შემდეგ გამოიკვეთა და რომელმაც, ვფიქრობ, გარკვეულწილად კონტრშედეგი გამოიღო:

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# კობა ნარჩემაშვილი: „საქართველოში რევოლუცია აღარ მოხდება“

გულიკო ბალაძე

**თუ ნაციონალები სიტუაციის არევას და ხელისუფლებაში მოსვლას შეეცდებიან, მათ დაუპირისპირდება ის ხალხი, ვინც გახდა სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლი. თუმცა, ვინც იცნობს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს და, კონკრეტულად, უშიშროების სამსახურში გამომძიებელ და ინტრიგების ხელოვნებაში დახელოვნებულ უგულავას, საზოგადოებას მშვიდობიან ცხოვრებას არ შეარგებენ.**



– საქართველოში იარაღის არაერთი სამალავია, რომელიც გასანეიტრალებელია. ასევე ძალიან ბევრი დამნაშავე მუშაობს ძალოვან სტრუქტურებში, რომლის მეშვეობით ნაციონალური მოძრაობა ინფორმაციას ღებულობს, – ასეთ ინფორმაციას ახმოვანებს შს ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი.

კობა ნარჩემაშვილი დარწმუნებულია, რომ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს ხელი მიუწვდებათ სამართალდამცავი ორგანოების სერვერებზე, საიდანაც ახერხებენ საიდუმლო ინფორმაციების მიღებას.

– დარწმუნებული ვარ, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს ხელი მიუწვდებათ ძალოვანი სტრუქტურების სერვერზე. დარწმუნებული ვარ, ისინი საქმის კურსში არიან, რა საქმეზე რა მტკიცებულებები მოეპოვებათ სამართალდამცავ ორგანოებს. მე მაქვს ასეთი ვარაუდი, რომელიც გამტკიცებულია იმ ინფორმაციით, რომელი ინფორმაციაც გამაჩნია. რატომღაც მგონია და დარწმუნებული ვარ, რომ ძალოვან სტრუქტურებში არსებული ელექტრონული სისტემების პარალელური სისტემები არსებობს და მისი მეშვეობით ადეიშვილს მიეწოდება ყველა ინფორმაცია არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდების მტკიცებულებებთან დაკავშირებით, ანუ პარალელური სისტემის მეშვეობით ინფორმაცია და მასალები იტვირთება ადეიშვილის სერვერზე, – ასეთ შემაშფოთებელ განცხადებას აკეთებს შს ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი.

ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით, 2012 წლის არჩევნებით ხელისუფლებიდან დათხოვნილი ნაციონალები კვლავ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე ოცნებობენ და რევოლუციის სცენარებს ადგენენ. ციხეებიდან თავის დახსნა რევოლუციის გზით ეიმედებათ. ალბათ, ფიქრობენ, რომ იმ გზით შეიძლება გამოსვლა ციხიდან, როგორც 1992 წელს, გადატრიალების პროცესში სახელმწიფო გადატრიალების მომწყობებმა, ჯაბა იოსელიანი რომ გამოუშვეს ციხიდან.

ყოფილი შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი აცხადებს, რომ ბევრი რამ არის ხელიდან გაშვებული. ბევრი რამ არის დაგვიანებული, თუმცა, გამოსწორება შეიძლება.

– დაპირისპირების საფრთხე არსებობს, თუკი საზოგადოების ძალიან დიდმა ნაწილმა მათ დაუჭირა მხარი. თუ საზოგადოების ძალიან დიდმა ნაწილმა გაიცნობიერა, რომ ნაციონალური მოძრაობის რაიმე ფორმით ხელისუფლებაში დაბრუნება გამოიწვევს ძალიან დიდ დაპირისპირებას თვითონ ნაციონალებსა და იმ ადამიანებს შორის, ვინც თავს იმ რეჟიმის მსხვერპლად მიიჩნევს, ნაციონალები ვერაფერს გახდებიან, – განაცხადა კობა ნარჩემაშვილმა, რომელიც მიიჩნევს, რომ ნაციონალების გააქტიურების შემთხვევაში დაპირისპირება მათსა და რეპრესირებულ ადამიანებს შორის გარდაუვალია.

ნარჩემაშვილის თქმით, ნაციონალური მოძრაობის მხრიდან საზოგადოებრივი სიმშვიდის ხელყოფა დასაშვები და შესაძლებელია. თუმცა, ამ ხალხის დამორჩილება ჯერ კიდევ შეუძლია ხელისუფლებას და ეს უნდა გააკეთოს კიდეც.

– არიან ადამიანები, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობას ემსახურებოდნენ. მაგალითად, ვინმე ჯაბა ებანოიძე, რომელიც პროგრამირების სისტემის სპეციალისტი იყო და ითანამშრომლა გამოძიებასთან. მან ერთ საკითხზე თქვა, რაც იცოდა. იქ უამრავი რამ არის, რაზეც არ ვიცით, რაიმე თქვა თუ არა. ახლა ებანოიძე უკრაინაშია და არ ვიცით, ვის უწევს დახმარებას, ნაციონალებს თუ ახალ ხელისუფლებას.

***– თქვენ განაცხადეთ, რომ დღევანდელი პოლიტელიტა მოქმედებს სააკაშვილის შეთავაზებული დღის წესრიგით. თუ გაშიფრავთ, რას ნიშნავს ეს?***

– აღმოჩნდა, რომ დაახლოებით იგივე რაოდენობის მკვლელობები მოხდა 2011 წელს, რამდენიც 2014 წლის აგვისტოში იყო. სასჯელაღსრულების დაწესებულება იმ რაოდენობამ დატოვა, რომ აუცილებლად გამოიწვევდა კრიმინოგენული ვითარების გაუარესებას. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ხელისუფლება გახდა იმ საზოგადოებრივი დაკვეთის მძევალი, რომელიც არსებობდა 2012 წლის შემოდგომაზე. ამნისტია აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო. ახლა საჭიროა შს სამინისტრო არ დაელოდოს კრიმინოგენული ვითარების აფეთქებას და გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები. კარგი იქნებოდა, თუ შს მინისტრი წინასწარ საზოგადოებას მოუწოდებდა, მეტი კომუნიკაცია ყოფილიყო მათ შორის, ეთანამშრომლა მათთან, რომ საპოლიციო კონტროლის ღონისძიებებს არ გამოიწვია ისეთი რეაქცია, რაც გამოიწვია. საზოგადოება არის ისეთი, როგორიც არის. ის უცებ ვერ შეიცვლება.

***– თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა შს სამინისტროსა და უშიშროების სამსახურის გამიჯვნა?***

– შს სამინისტროსა და უშიშროების სამსახურების გამიჯვნა აუცილებელია. სისტემა, რომელიც მოქმედებდა 2004 წლამდე, იყო პოსტსაბჭოთა, მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა. შს სამინისტროსა და უშიშროების სამსახურების გაერთიანების შემდეგ, 2009-2012 წლებში ეს სისტემა იყო ავტორიტარიზმზე აწყობილი, რადგან ეს სისტემა მორგებული იყო რეპრესიული მართვის სტილს, დღეს ეს მანქანა არ მუშაობს. მათი შინაარსობრივი გაერთიანება არ მომხდარა, მექანიკური გაერთიანება მოხდა. სრულიად ახალი ხედვაა საჭირო. მე ვფიქრობ, რომ საგამოძიებო ორგანოების სრული დეკვალიფიკაციაა მომხდარი და საჭიროა მათი გადამზადება.

***– გამოითქვა მოსაზრება, რომ შს სამინისტროსა და უშიშროების სამსახურებს გაუჭირდებათ იმ აპარატურის გაყოფა, რაც მათ გააჩნიათ და, რომლითაც ახდენენ მოსმენებს, მიყურადებებს. თქვენი აზრით, ეს არის მნიშვნელოვანი არგუმენტი შს სამინისტროსა და უშიშროების სამსახურის გამიჯვნის საწინააღმდეგოდ?***

– არანაირი პრობლემა ამასთან დაკავშირებით არ იქნება. დღეს ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებები გააჩნია არა მხოლოდ შს სამინისტროს, არამედ საფინანსო სამსახურებს და სხვა სტრუქტურებს. დღემდე ვწუხვარ, რომ ვერ მივეცი იმპულსი ამ სტრუქტურების ტრანსფორმაციის პროცესს. ჩემი აზრით, შს სამინისტრო რამდენიმე სტრუქტურად უნდა გაიყოს. კერძოდ, შს სამინისტროდ, უშიშროების, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურებად.

***– უგულავა თავის წერილში წარმოადგენს რევოლუციის სცენარებს. შეიძლება ნაციონალებმა შექმნან ისეთი სიტუაცია, რომ, როგორც თვითონ ამ წერილში წერს უგულავა, ძირს დაგდებული ძალაუფლება აიღონ ხელში, ანუ ისევ რევოლუციის გზით ისევ ხელისუფლებაში მოვიდნენ?***

– თუ ვინმეს ჰგონია, რომ 2003 წლის სცენარი განმეორდება, ძალიან ცდება. ამის საშუალებას მათ არავინ მისცემს. სხვათა შორის, ნაციონალების ოპოზიცია წლების განმავლობაში სწორედ ამ იმედით იყო შთაგონებული. ამიტომ გადაიწია ნაციონალების შეცვლის პროცესმა.

***– 2003 წელს შევარდნაძემ განაცხადა, რომ ნაციონალებს ძალაუფლება ხონჩით მიართვა. დღეს მათ ხონჩით ხელისუფლებას რომ არავინ გადასცემს, ცხადია. ამ სიტუაციაში რის იმედი შეიძლება ჰქონდეთ ნაციონალებს და უგულავას?***

– არ ვიცი. ნეტავ არიან მორწმუნენი.

---



## კალეიდოსკოპი

### ტურისტი კენტუკიში კლდიდან ჩამოვარდა

ტურისტი, რომელიც სომნაბულიზმითაა დაავადებული, ძილის დროს 20 მეტრი სიმაღლის კლდიდან ჩამოვარდა, რომელიც კენტუკის შტატის აღმოსავლეთ



ნაწილში მდებარეობს. შემთხვევის ადგილზე მაშველებს დაახლოვებით ოთხი საათი დასჭირდათ იმისთვის, რათა მამაკაცი ხეობიდან ამოეყვანათ. ექიმებმა დაშავებულს თავის ტრავმა, მხარის ამოვარდნა და ფეხის მოტეხილობა დაუდგინეს.

8 სექტემბერს ტურისტების ჯგუფმა გადაწყვიტა ღამის გასათევად ბანაკი კლდის პირას გაეშალათ. მეორე დილით მათ შენიშნეს, რომ ერთ-ერთი ტურისტი აღარ ჩანდა. სამაშველო სამუშაოებს კლდის რთული რელიეფი და ცუდი ამინდი აძნელებდა. როდესაც მაშველებმა ხეობის ფსკერამდე ჩააღწიეს, აღმოჩნდა, რომ ტურისტი დიდ ლოდზე იყო დაცემული.

მაშველთა სამსახურის წარმომადგენლების თქმით, შემთხვევის რაიონში დადგმულია საგანგებო ნიშნები, რომლებიც ტურისტებს კლდიდან გადავარდნის საშიშროების თაობაზე აფრთხილებს.

### ქეით მიდლტონი ისევ ფეხმძიმედაა



პრინცი უილიამი და მისი მეუღლე მეორე ბავშვს ელოდებიან. ეს ინფორმაცია გამოქვეყნდა ფეისბუქში, ბრიტანეთის მონარქიის ოფიციალურ გვერდზე. მასში ნათქვამია, რომ კემბრიჯის ჰერცოგინია, რომელიც ტოქსიკოზით არის დაავადებული, ლონდონის კენსინგტონის სასახლის ექიმების გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. დედოფალი ელისაბედ II დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამ ამბავს.

შეგახსენებთ, რომ კემბრიჯის ჰერცოგინიამ ქეით მიდლტონმა პირველად 2013 წლის 22 ივლისს იმშობიარა ლონდონის წმინდა მარიას სახელობის საავადმყოფოში. ამ მოვლენიდან მცირე ხანში ბუკინჰემის სასახლესი გამოფინეს ოფიციალური ფურცელი, რომელიც კურიერმა წმინდა მარიას საავადმყოფოდან მოიტანა. მასში ეწერა: „დღეს კემბრიჯის ჰერცოგინიამ 16:24 წუთზე წარმატებით იმშობიარა“. მას ხელს აწერდნენ ექიმები, რომლებმაც ქეით მიდლტონი ამშობიარეს.

სამეფო წყვილის პირველი შვილი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეთა სიაში რიგით მესამეა და დიდი ბრიტანეთის ისტორიაში პირველად მიიღო კემბრიჯის პრინცის ტიტული.

ასევე შეგახსენებთ, რომ პრინც უილიამისა და კეიტ მიდლტონის ქორწილი 2011 წლის 29 აპრილს ლონდონის ვესტმინსტერის სააბატოში გაიმართა. ცერემონიას დაახლოვებით 1900 ადამიანი ესწრებოდა, ხოლო ტელევიზიით მას ას მილიონზე მეტმა მაყურებელმა ადევნა თვალი. კიდევ 72 მილიონმა კი საზეიმო ცერემონიას იუთუბიზე ბუკინჰემის სასახლის ოფიციალური არხის საშუალებით ადევნა თვალი.

## კრიმინოგენული პარანოია

დასაწყისი მე-6 გვერდზე

წლების განმავლობაში პოლიციური რეჟიმის ქვეშ მცხოვრებმა მოსახლეობამ, საკმაოდ მოკლე ვადაში განსხვავებული სურათი მიიღო, როდესაც პოლიციელი არა მის დაჭერაზე, არამედ სიტუაციის მშვიდ განმუხტვაზე და ადამიანის უფლებების დაცვაზე მაქსიმალურად იყო მოტივირებული.

დღევანდელი გადასახედიდან უკვე ჩანს, რომ ამ ფაქტმა საზოგადოების ნაწილს მეტი სითამამე შესძინა, რაც ხშირ შემთხვევაში პოლიციელთა პროვოცირებით და შეიძლება პირდაპირ ითქვას, მათ ნერვებზე თამაშით გამოიხატა. საზოგადოების ნაწილს გაუჩნდა განცდა, რომ პოლიციელი ყოველთვის მტყუანია და მის უფლებებს უფლებადაცვითი ორგანიზაციები ყველა შემთხვევაში დაიცავენ.

გარკვეული ძალების მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროზე მიტანილი იერიში სავარაუდოდ, კიდევ გაგრძელდება და ის კიდევ უფრო მრავალფეროვან სახეს მიიღებს, რასაც, ვფიქრობთ სამინისტრომ თავისი სტრატეგიის მშვიდად და ოპერატიულად განხორციელებით უნდა უპასუხოს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა აყვეს იმ „ნერვების ომს,“ სადაც მის ჩათრევას ცდილობენ.

ასეთ შემთხვევაში, შედეგი არა მხოლოდ სამინისტროსთვის, არამედ მთლიანად ქვეყნისთვის კარტასტროფული იქნება.

და ბოლოს, ნამდვილად არაა მორალურად გამართლებული, რომ იმ ტრაგედიებით, რასაც ადამიანის სიცოცხლის უფლების ხელყოფა ჰქვია, პოლიტიკური ქულების ჩაწერაზე იფიქრო. მითუმეტეს, რომ საზოგადოებას, საბედნიეროდ ჯერჯერობით ყველაფერი ახსოვს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მიზანმიმართული კამპანიით, მათმა მეხსიერებამ, ქვეყნის უახლესი წარსულის შესახებ ინფორმაცია აღარ შემოინახოს.

პ.ს. თუ ვინმეს აინტერესებს პოლიციელის მიერ უფლებების დარღვევის კლასიკური მაგალითები, ან პოლიციელთა მიერვე საკუთარი ხალხის ქუჩაში დახოცვისა და ტყეებში მოწყობილ ბუნაგებში გაუპატიურების ფაქტები, 2003-1012 წლის დამოუკიდებელ პრესას გადახედოს.

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

## ვენაში სწრაფი სექსისთვის კაბინეზს დადგამენ

ავსტრიის დედაქალაქ ვენის მერმა სანდრა ფრენბერგერმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში არალეგალურ პროსტიტუციასთან ბრძოლის ფარგლებში „სექს-კაბინების“ დადგმის წინადადება წამოაყენა, რომლებშიც მეძავებს კლიენტების მიღების საშუალება ექნებათ. ეს წინადადება მერმა განსახილველად ქალაქის საბჭოს წარუდგინა.

ქალაქის მერის აზრით, ეს საშუალებას ილევა კონტროლს დაუქვემდებარონ მეძავების საქმიანობა, რომლებიც კლიენტებს ქუჩებში ეძებენ. კაბინებში ყველაფერი იქნება გათვალისწინებული „სწრაფი სიყვარულისთვის“ პრეზერვატივებიდან დაწყებული საწოლით დამთავრებული.

სანდრა ფრენბერგერის განცხადებით, უახლოეს დროში ამ საკითხს პროსტიტუციის საკითხებში მოქმედ





სამუშაო ჯგუფთან, პოლიციის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს.

„სექს-კაბინების“ იდეა ქალაქის ხელისუფალთ მას შემდეგ დაებადათ, როდესაც ვენის ფლორიდსდორფისა და ლიზინგის რაიონების მაცხოვრებლების მხრიდან იმატა საჩივრებმა სექს-ინდუსტრიის წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც კლიენტებს პირდაპირ მათი სახლების ფანჯრებთან უწევდნენ მომსახურებას. მათი ასეთი საქმიანობის გამო აღშფოთებას ვერ მალავდნენ ბავშვების მშობლები და წესიერი ცხოვრების მომხრეები.

ვენამ შესაძლოა შვეიცარიული ქალაქის ციურიხის გამოცდილება გაიზიაროს, სადაც ევროპაში პირველად მსგავსი „სექს-კაბინები“ 2013 წელს გამოჩნდა. ისინი წარმოადგენენ ხის სახლებს, რომლითაც სარგებლობის საშუალება ეძლევათ ავტომობილისტებს, რომლებიც ტრანზიტულად მოძრაობენ ციურიხის გავლით. ასეთი მინი-ბორდელები კვირაში შვიდი დღე, ადრე საღამოდან დილის 5 საათამდე ფუნქციონირებს და დიდი პოპულარულობით სარგებლობენ.

ავსტრიაში პროსტიტუციის ლეგალიზება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მოხდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## განცხადებები

● ვართ გამოცდილი სპეციალისტები სამშენებლო დარგში: სანტექნიკა, ელექტროობა, დემონტაჟი, კაფელ-მეტლახი, შეკიდული ჭერები. ტელ: 514-350-440.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

# ნატო ესტონეთს ვერ დაიცავს?

მარიკა მჭედლიშვილი

**აშშ-ს პრეზიდენტი ბარაქ ობამა აპირებს, კონგრესთან შეუთანხმებლად აწარმოოს ომი ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოსთან".**

„როიტერის“ ცნობით, ობამამ ქვეყნის ორივე წამყვანი პარტიის ლიდერებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მას არ სჭირდება კონგრესის თანხმობა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ საბრძოლველად.

კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი, რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი ჯონ ბეინერი დაეთანხმა ობამას ინიციატივას, რომელიც ეხება ერაყის უსაფრთხოებისა და სირიის ოპოზიციის შეიარაღების კუთხით ეფექტურობის ამაღლებას.

– სპიკერმა განმარტა, რომ „ისლამური სახელმწიფო“ მზადაა, გვებრძოლოს. და როგორც სირიამ გვასწავლა, რაც მეტს ვიცდით, მით მირთულდება ჩვენი არჩევანი, – აღნიშნა მისმა თანაშემწემ.

„როიტერის“ ინფორმაციით, აშშ-ში მოქმედებს კანონი, რომლის თანახმად, პრეზიდენტს უფლება აქვს, აწარმოოს ომი 60 დღის განმავლობაში კონგრესის მხარდაჭერის გარეშე.

ნატოს სამიტზე 5 სექტემბერს აშშ-ს პრეზიდენტმა წარმოადგინა „ისლამური სახელმწიფოს“ , იგივე „ისლამური ხალიფატის“ ბოევიკების წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიციის შექმნის გეგმა. მისი თქმით, ისლამისტებთან დასაპირისპირებლად რეგიონული ჩარევა „აბსოლუტურად აუცილებელია“.

აშშ-ს საჰაერო ძალებს მანამდეც მიჰქონდათ დარტყმები ისლამისტების პოზიციებზე.

რამდენიმე დღის წინ ამ ბოევიკებმა, რომლებმაც ერაყის მესამედი და სირიის ნაწილი დაიკავეს, გაავრცელეს საშინელი ვიდეო, რომელზეც აღბეჭდილია, თუ როგორ კვეთენ ისინი თავს ამერიკელ ჟურნალისტს სტივენ სეტლოფს. მანამდე ისინი ასევე გაუსწორ-



დნენ ამერიკელ რეპორტიორ ჯეიმს ფოულის.

მათ საშინელებები ჩაიდინეს ასევე ქურთების, ქრისტიანების და საერთოდ ყველას მიმართ, ვინც ტაში არ დაუკრა, ან ვინც სხვა რელიგიის მიმდევარია.

ახლახან ისლამისტები პირველ რიგში, ჩეჩნეთის და საერთოდ, კავკასიის „გათავისუფლებით“ დაიმუქრნენ. ერთი-ორი „ტკბილი“ სიტყვა პუტინსაც შეუთვალეს და უთხრეს, რომ ინფორმირებული არიან, როგორ ეხმარებოდა ის იარაღით სირიის პრეზიდენტს.

ობამას განცხადებამდე ისლამისტებთან მებრძოლ ერაყის ხელისუფლებასა და ქურთებს იარაღი უანგაროდ მიაწოდა დიდმა ბრიტანეთმა. გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის მინისტრის, მაიკლ ფალონის განმარტებით, ტყვიამფრქვევები და საბრძოლო მასალა გაიგზავნა როგორც ოფიციალური ბაღდადის, ისე ქურთთა ავტონომიის თხოვნით. მინისტრი აღნიშნავს, რომ ლონდონი ვალდებულებას იღებს, მომავალშიც მოამარაგოს იარაღით ერაყის არმია და „ისლამურ სახელმწოფოსთან“ მებრძოლი რაზმები.

ქვეყნის პრემიერმა დევიდ კემერონმა არ გამორიცხა ბრიტანელი ჯარისკაცების მონაწილეობა ერაყში ოპერაციაში იმ შემთხვევაში, თუ ბარაქ ობამა მისი დაწყების ბრძანებას გასცემს.

მანამდე „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ერთობლივი წინააღმდეგობის გაწევაზე შეთანხმდნენ არაბული ქვეყნები. „არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში“ შემავალი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოილაპარაკეს, რომ ამისათვის ერთობლივ ზომებს მიიღებენ.

დიპლომატიურ წყაროებიდან „როიტერისათვის“ ცნობილი გახდა, რომ თავდაპირველად, მინისტრები გეგმავდნენ, მხარი დაეჭირათ აშშ-ს მიერ წარმოებული კამპანიისათვის „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ, მაგრამ რეზოლუციის საბოლოო ტექსტში ეს არ ასახულა. რეზოლუცია მოუწოდებს არაბულ სახელმწიფოებს, აშშ-სთან და ერაყთან თანამშრომლობისაკენ. ეს კი განიხილება, როგორც თანხმობა ვაშინგტონის მიერ დაჯგუფების წინააღმდეგ წარმოებული კამპანიის მიმართ.

თუ ისლამისტებთან ბრძოლასთან დაკავშირებული ობამას ინიციატივები დავას არ იწვევს, დიდ კითხვებს აჩენს მისი განცხადებები ესტონეთის დაცვაზე.

ამ დღეებში ესტონეთში ბარაქ ობამას გამოსვლამ მისივე თანამემამულეების გაოცება გამოიწვია. ამაზე ყურადღებას ამახვილებს გაზეთი „ამერიკან კონსერვატივი“. მაშინ აშშ-ს პრეზიდენტს მოუხდა პასუხის გაცემა კითხვაზე, რა მოხდება რუსეთის ესტონეთში შეჭრის შემთხვევაში? ობამა ესტონელებს ნატოს წესდების მეხუთე მუხლის ამოქმედებით აიმედებს.

– ვეუბნები ესტონელებს და ბალტიისპირეთის მთელ ხალხს: ახლა ჩვენ გაერთიანებული ვართ სამოკავშირეო ხელშეკრულებით. მეხუთე მუხლი კრისტალურად ნათელია: ერთზე თავდასხმა – ეს ყველაზე თავდასხმაა. ამიტომ, როცა თქვენ როდესმე ისევ იკითხავთ, იმის შესახებ, თუ ვინ მოვა თქვენს დასახმარებლად, პასუხი ნათელი იქნებ – ნატო, აშშ-ს შეიარაღებული ძალების ჩათვლით, – განაცხადა ბარაქ ობამამ.

გაზეთის აზრით, ობამას წინამორბედები ცივი ომის დროიდან ასეთ იდეას სრულ უგუნურობად ჩათვლიდნენ.

1945 წლიდან, 1989 წლის ჩათვლით, აშშ-ს არც ერთ პრეზიდენტს აზრადაც არ მოუვიდოდა, ხელი მოეწერა ცარიელ ჩეკზე აღმოსავლეთ ევროპაში ომის საწარმოებლად.

– ჩვენი წითელი ხაზი გერმანიაზე გადიოდა, – წერს „ამერიკან კონსერვატივი“.

ჩვენ ვეუბნებოდით მოსკოვს, თუ თქვენ ელბას გადმოკვეთთ, ჩვენ ვიბრძოლებთ. რეალურ აზრს ამ წითელ ხაზს აძლევდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მყოფი ასეულობით ათასი ამერიკელი ჯარისკაცი. ტრუმენს ძალის გამოყენებით არ დაურღვევია ბერლინის ბლოკადა, ეიზენჰაუერს არ გაუგზავნია ჯარი უნგრელი ამბოხებულების საშველად. კენედი ბობოქრობდა, მაგრამ არანაირად არ ეწინააღმდეგებოდა ბერლინის კედლის მშენებლობას.

რატომ არ მოქმედებდნენ პრეზიდენტები?

გაზეთის აზრით, იმიტომ, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ ხედავდა აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკისათვის ისეთ სასიცოცხლო ინტერესებს, რომელიც რუსეთთან ომის ფასად დაუჯდებოდათ.

სიმართლე რომ ითქვას, – განაგრძობს გაზეთი, – ასეთი ინტერესები არც წინათ ყოფილა და არც ახლაა. თუ ჩვენ ნახევარი საუკუნის წინ არ ვიყავით მზად, ჩეხოსლოვაკიის გამო გვებრძოლა ბირთვული იარაღის მქონე რუსეთთან, რატომ უნდა წავიდეთ ასეთ რისკზე ესტონეთის გამო?

საინტერესოა, რას იზამს ნატო, თუ რუსეთმა ჩაიდინა უგუნურება და ესტონეთი დაიკავა? ნუთუ ალიანსის წევრი 28 სახელმწიფო ომში ჩაებმება და ბრძოლაში საკუთარ ჯარისკაცებს გაუშვებს? – კითხულობს გაზეთი.

ჩვენ ასეთი რიტორიკული კითხვა საქართველოსთან მიმართებაშიც შეგვიძლია დავსვათ. მით უმეტეს, რომ საქართველოსთან მიმართებაში მეხუთე მუხლიც ვერ ამოქმედდება.

# დონალდ ტუსკი თანამდებობიდან გადადგა



პოლონეთის პრემიერ-მინისტრი დონალდ ტუსკი თანამდებობიდან გადადგა. მან ქვეყნის პრეზიდენტს შესაბამისი განცხადებით უკვე მიმართა. ამის შესახებ ადგილობრივი მედია იუწყება.

ტუსკის თხოვნა გადადგომის შესახებ უკავშირდება დეკემბრიდან ევროპული საბჭოს თავმჯდომარის ფუქციის შესრულებას. ტუსკი ამ თანამდებობაზე 30 აგვისტოს აირჩიეს.

უკვე ცნობილია პოლონეთის სამთავრობო კოალიციის კანდიდატის ვინაობა პრემიერის პოსტზე. ამ თანამდებობაზე ქვეყნის სეიმის მარშლის, ევა კოპაჩის კანდიდატურა დასახელდა.

პოლონეთის კანონმდებლობით, პრემიერის გადადგომა ითვალისწინებს მინისტრთა კაბინეტის გადადგომასაც. ქვეყნის ახალი მთავრობის ფორმირება 25 სექტემბრამდე უნდა განხორციელდეს.

დონალდ ფრანციშეკ ტუსკი 2007 წლის 16 ნოემბრიდან პოლონეთის პრემიერ-მინისტრია, თანამდებობა დაიკავა მას შემდეგ, რაც მისმა პარტიამ 2007 წლის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა.

ტუსკი ეთნიკურად კაშუბია (ძველი პომორიელების შთამომავლები, ცხოვრობენ ჩრდილო-აღმოსავლეთ პოლონეთში, ბალტიის ზღვის სანაპიროზე). დაიბადა ხელოსნის ოჯახში. 1976 წელს დაამთავრა ნიკოლაი კოპერნიკის სახელობის ლიცეუმი გდანსკში, ხოლო 1980 წელს გდანსკის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. დაქორწინებულია მალგოჟატა ტუსკიზე და ჰყავთ ორი შვილი.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა

# რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ახალი პაკეტის ამოქმედებას მხარს უჭერენ

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ახალი პაკეტის ამოქმედებას უჭერს მხარს. ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა ქვეყნის პარლამენტის წინაშე გამოსვლისას განაცხადა. ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.

ანგელა მერკელის თქმით, უკრაინაში ვითარება გაუმჯობესდა, თუმცა სამშვიდობო გეგმის პირობები არ სრულდება.

როგორც გერმანიის კანცლერმა განაცხადა, სანქციების გაუქმება შეიძლება მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის 12-ვე პუნქტი იქნება შესრულებული.

„სანქციები წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას რუსეთზე ზეწოლისთვის. რუსეთის უშუალო მონაწილეობა უკრაინის კონფლიქტში ძალიან, ძალიან ნათელია და მისი მოქმედებები უპასუხოდ არ უნდა დარჩეს. ამის მიუხედავად, გერმანიის მთავრობას ეჭვი არ შეაქვს იმაში, რომ კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარება შეუძლებელია“, – განაცხადა მერკელმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები კონფლიქტის შეწყვეტამდე იმოქმედებს.

ევროპულმა საბჭომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრების პაკეტი გუშინ მიიღო. ევროპული საბჭოს პრეზიდენტის ჰერმან ვან რომპეის განცხადებით, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების პაკეტი უახლოეს დღეებში გამოქვეყნება და გამოქვეყნებისთანავე ავტომატურად ამოქმედდება.

უკრაინის აღმოსავლეთში საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში, კანადა რუსეთის წინააღმდეგ ახალ სანქციებს შემოიღებს. ამის შესახებ კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯონ ბერდმა ევროკავშირის უმაღლეს კომისართან კეტრინ ეშტონთან მოლაპარაკებებისას განაცხადა.

„მივცეთ შანსი პოლიტიკურ დარეგულირებას. მაგრამ ახალი პროვოკაციებისა და სხვა ნეგატიური მომენტების შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნა იქნება დამატებითი სანქციები“, – განაცხადა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ბერდმა და ეშტონმა მოლაპარაკებების შედეგების მიხედვით გააკეთეს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდასაჭერი განცხადება.

ამავე დროს, კანადის თავდაცვის სამინისტრომ რუსი სამხედროები პროვოკაციაში დაადანაშაულა. შავ ზღვაში მიმდინარე ნატო-უკრაინის სამხედრო-საზღვაო სწავლებების დროს 3 რუსული სამხედრო თვითმფრინავი კანადურ ფრეგატს „ტორონტოს“ ახლო მანძილზე მიუახლოვდა. ინციდენტი 7 სექტემბერს დაფიქსირდა.

დასავლური მედიის ინფორმაციით, პროვოკაციულ მანევრში სუ-24 ტიპის 2 რუსული ბომბდამშენი და ან-26 ტიპის ერთი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი მონაწილეობდა.

კანადის თავდაცვის მინისტრმა რობ ნიკოლსონმა რუსეთი „არასაჭირო პრო-



ვოკაციაში“ დაადანაშაულა. ნიკოლსონის განცხადებით, ეს ინციდენტი საფრთხეს არ წარმოადგენდა, თუმცა ხელს უწყობს რეგიონში სიტუაციის ესკალაციას იმ დროს, როდესაც ისედაც მყიფე ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება სულ ახლახანს გაფორმდა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ „პუტინის რეჟიმის სამხედრო აგრესიისა და უკრაინაში ინტერვენციის საპასუხოდ“,კანადა და მისი მოკავშირეები მონაწილეობენ იმ ღონისძიებებში, რომელთა მიზანია უკრაინის სოლიდარობის დემონსტრირება.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ უარყო კანადური მხარის ბრალდება. „ფრენის მარშრუტი იმ რაიონის გავლით, რომელშიც კანადური გემი იმყოფებოდა, წინასწარ იყო შეთანხმებული და თვითმფრინავების ფრეგატთან დაახლოებას ადგილი არ ჰქონია“, – განაცხადა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა გენერალმაიორმა იგორ კონაშენკოვმა. მოსკოვი ამტკიცებს, რომ „ფრენები საერთაშორისო ნორმების დაცვით, ნეიტრალურ წყლებში, განხორციელდა“.

# კემერონი შოტლანდიელებს მიმართავს: ჩვენი ერთიანობა ფასდაუდებელია, ნუ გაწყვიტავთ მას

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი შოტლანდიელებს მოუწოდებს 18 სექტემბრის რეფერენდუმზე ქვეყნის ერთიანობას დაუჭირონ მხარი. „ჩვენი ერთიანობა ფასდაუდებელია. ნუ გაწყვიტავთ მას“, – მიმართა პრემიერმა შოტლანდიელებს.

დასავლური მედიის ინფორმაციით, კემერონის მიერ „დეილი მეილიში“ გამოქვეყნებული წერილი, ყველაზე ემოციური გზავნილია 18 სექტემბერს შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმთან დაკავშირებით.

„თუ გაერთიანებული სამეფო დაიშლება, ის დაიშლება სამუდამოდ. ამიტომაც თქვენი არჩევანი ნათელია: „დიახ“ მიცემული ხმა – ნახტომი სიბნელეში ან ნათელი მომავალი შოტლანდიისთვის – ხმის მიცემით „არა“.

კემერონი, რომელიც კონსერვატიული პარტიას ხელმძღვანელობს, ასევე ლეიბორისტების ლიდერი დევიდ მილიბენდი და ლიბერალ დემოკრატების ლიდერი ნიკ კლეგი შოტლანდიაში ჩავლენ.

რეფერენდუმზე მოქალაქეებმა პასუხი უნდა გასცენ კითხვას: უნდა იყოს თუ არა შოტლანდია დამოუკიდებელი ქვეყანა?

სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, „დიახ“ და „არა“ ამჟამად თითქმის თანაბარია. ზოგი მონაცემებით კი, დამოუკიდებლობის მომხრეთა რაოდენობა მოწინააღმდეგეთა რაოდენობას აღემატება.

შოტლანდიის პირველი მინისტრის ალექს სალმონდის განცხადებით, ბრიტანეთის მთავრობა სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა პანიკაში ჩააგდო.

ცოტა ხნის წინ, კვლევითმა ორგანიზაციამ „თიენეს სქოთლენდმა“ დიდი ბრიტანეთის შოტლანდიისაგან გამოყოფის შესახებ გამოკითხვა ჩაატარა. კვლევის შედეგების თანახმად, შოტლანდიის დამოუკიდებლობას გამოკითხულთა 38% უჭერს მხარს. შოტლანდიის დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენას კი-39%. 23% კი ამ დრომდე არ ჩამოყალიბებულა საკუთარ გადაწყვეტილებაში.

# შესარჩევი ეტაპის პირველი ტური სენსაციურად დასრულდა

ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი ტური სამ დღეზე იყო გაწელილი და როგორც იქნა, მორჩა. ამასთან, საკმაოდ საინტერესო და სენსაციური ანგარიშებიც დაფიქსირდა.

მთავარი მატჩი ჩეხეთში იყო, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ჰოლანდია სტუმრობდა. მასპინძლები დოკალის გოლით იგებდნენ, რომელიც მეორე ტაიმში დე ვრეიმ გაქვითა. ის იყო ყველა ფიქრობდა, რომ შეხვედრა ფრედ დასრულდებოდა, რომ ვაცლავ პილარმა ბოლო წუთზე გამარჯვება ჩეხებს მოუტანა.

სენსაციურად უნდა მივიჩნიოთ ბოსნიელთა საშინაო მარცხი კვიპროსის ნაკრებთან. მასპინძლები მე-6 წუთზე იბიშევიჩის გოლით იგებდნენ, თუმცა კრისტოფის დუბლით მოგებული სტუმრები დარჩნენ.

დაახლოებით ანალოგიური სცენარით წარიმართა ანდორისა და უელსის ნაკრებების მატჩი. მასპინძლები აქაც მე-6 წუთზე დაწინაურდნენ და სენსაციის სუნი დაატრიალეს, თუმცა ისევ დუბლი, ისევ სტუმრების – გარეთ ბეილმა ორი ბურთი გაიტანა და მასპინძლებს სენსაცია არ დაანება.

მოულოდნელი შედეგი არა, მაგრამ ანგარიში კი დაფიქსირდა ისლანდია-თურქეთის მატჩში. ჩრდილოელებმა ბოედვარსონის, სიგურდსონისა და სიგტორსონის გოლებით 3:0 დაამარცხეს მეტოქე.

იოლად იმარჯვეს ხორვატებმა და იტალიელებმა. ბალკანელებმა შინ 2:0 კვიპროსს მოუგეს, ხოლო აპენიელებმა სტუმრად ასეთივე ანგარიშით უნგრელებს სძლიეს.

გაუჭირდა ბულგარეთს, რომელიც სტუმრად ეთამაშებოდა აზერბაიჯანს. მიჩანსკის ადრიანი გოლი მასპინძლებმა მეორე ტაიმში გაათანაბრეს, გამარჯვება კი ბულგარელებს ხრისტოვმა 87-ე წუთზე მოუტანა.

უგოლოდ დასრულდა ყაზახებისა და ლატვიელთა ჯახი.

# მიხაილ შუმახერი საავადმყოფოდან გაეწერა



გერმანელი ავტომრბოლელი, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაილ შუმახერი, თხილამურებით სეირნობის დროს დაშავდა და 6 თვის განმავლობაში კომაში იმყოფებოდა, რომლიდანაც ივნისში გამოვიდა. მისი საავადმყოფოდან გაწერა ჯერ კიდევ ზაფხულში იგეგმებოდა, მაგრამ ვერ მოხერხდა და მხოლოდ ახლახან გაეწერა სახლში.

ამის შესახებ ინფორმაცია მისმა პრესმდივანმა საბინა კემმა გაავრცელა.

– ამ მომენტიდან მიხაილის რეაბილიტაცია სახლში გაგრძელდება. ტრავმის სიმძიმის გათვალისწინებით, ბოლო რამდენიმე კვირისა და თვის განმავლობაში მის მდგომარეობაში პროგრესი მიღწეულია. მაგრამ წინ კიდევ გრძელი და რთული გზაა. გვინდა მადლობა გადავუხადოთ ლოზანას კლინიკის ექიმებს. აქვე უნდა დავაზუსტოთ: არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ამგვარი ნაბიჯის მიზეზი გახდა მისი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, – აცხადებს კემი.

# ბერიშვილი კარიერას სლოვენიაში გააგრძელებს

საქართველოს ნაკრების ფორვარდი მიხეილ ბერიშვილი კარიერას სლოვენიაში გააგრძელებს. „არმიას" ყოფილი ფორვარდი უმაღლესი ლიგის კლუბ „ზლატოროგში" ჩაირიცხა და მომავალ სეზონში ლაშკოელთა ღირსებას სლოვენიის ჩემპიონატში დაიცავს. რამდენიმე დღის წინ ქართველი ფორვარდი სლოვენიაში ჩავიდა, სადაც მას ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

სლოვენიის ჩემპიონატის სადებიუტო მატჩს „ზლატოროგი" „ჰოპსისთან" 11 ოქტომბერს ჩაატარებს.

მანამდე ლაშკოელები ამხანაგურ მატჩში შოშტანის „ელექტრას" შეხვდნენ და 97:72 გაანადგურეს. „ზლატოროგის" გამარჯვებაში სოლიდური წილი დაიდო ქართველმა ფორვარდმა, რომელმაც პირად ანგარიშზე 19 ქულა ჩაიწერა. ის თავისიანთაგან მხოლოდ იგორ ტრატნიკს ჩამორჩა, რომელმაც 25 ქულა მიითვალა.

# გურალია სენიორთა შორის ევროპის ჩემპიონია

საბერძნეთის ქალაქ იოანიანში 4-7 სექტემბერს გამართულ ევროპის ჩემპიონატზე წყალსათხილამურო სპორტში, საქართველოს სახელით მოასპარეზე გენადი გურალიამ, 35 წლის და უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის 1 ოქროს და 3 ვერცხლის მედლის მოპოვება შეძლო.

წყალსათხილამურო სპორტში არაერთი ტიტულის მქონე ქართველმა სპორტსმენმა ოქროს მედალი ტრამპლინიდან ხტომაში აიღო (796.88 ქულა), 3 ვერცხლის მედალი კი ფიგურულ სრიალში (692.76 ქულა) სლალომსა (911 ქულა) და მრავალჭიდში (2400.93 ქულა).

ოქტომბრის თვეში გენადი გურალია მსოფლიო ჩემპიონატზეც მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ამერიკაში, ფლორიდას შტატში გაიმართება და სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 400-მდე სპორტსმენი გამოვა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ეჩ 2016. შესარჩევი ეტაპი**

| | |
|---|---|
| ყაზახეთი–ლატვია | 0:0 |
| ჩეხეთი–ჰოლანდია | 2:1 |
| ისლანდია–თურქეთი | 3:0 |
| ანდორა–უელსი | 1:2 |
| ბოსნია–კვიპროსი | 1:2 |
| აზერბაიჯანი–ბულგარეთი | 1:2 |
| ხორვატია–მალტა | 2:0 |
| უნგრეთი–იტალია | 0:2 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ინდონეზია–იემენი | 0:0 |
| ჩინეთი–იორდანია | 1:1 |
| სინგაპური–ჰონკონგი | 0:0 |
| კუვეიტი–ბაჰრეინი | 0:1 |
| ყატარი–პერუ | 0:2 |
| კანადა–იამაიკა | 3:1 |
| ჩილე–ჰაიტი | 1:0 |
| ბრაზილია–ეკვადორი | 1:0 |
| ბოლივია–მექსიკა | 0:1 |
| ეჩ–2015. შესარჩევი ეტაპი | (21) |
| ისრაელი–მაკედონია | 2:1 |
| იტალია–კვიპროსი | 7:1 |
| ჩრ.ირლანდია–სერბეთი | 1:4 |
| სომხეთი–ბელარუსი | 2:1 |
| გერმანია–რუმინეთი | 8:0 |
| დანია–ბულგარეთი | 7:1 |
| ლიტვა–უელსი | 1:1 |
| მოლდოვა–ინგლისი | 0:3 |
| პორტუგალია–აზერბაიჯანი | 3:1 |
| რუსეთი–ანდორა | 5:0 |
| ფარერები–ჩერნოგორია | 1:0 |
| ფინეთი–სან მარინო | 5:0 |
| საბერძნეთი–პოლონეთი | 3:1 |
| შვედეთი–თურქეთი | 4:3 |
| ესპანეთი–ავსტრია | 1:1 |

**ესპანეთი. თასი**

| | |
|---|---|
| ალავესი–ოსასუნა | 2:0(დდ) |

**კალათბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ლიტვა–თურქეთი | 73:61 |
| სლოვენია–აშშ | 76:119 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# სერენა უილიამსი: ახლა მე-19 ტიტულზე ვფიქრობ



ამერიკელმა ჩოგბურთელმა, სერენა უილიამსმა ზედიზედ მესამედ მოიგო ამერიკის ღია პირველობა. სულ კი ეს მეექვსედ მოახერხა, რაც აბსოლუტური რეკორდია. მანამდე სერენა და შტეფი გრაფი თანაბრად ფლობდნენ ტიტულს.

მოგებაც არის და მოგებაც: სერენამ შვიდი მატჩის განმავლობაში მან მხოლოდ 32 გეიმი წააგო და მისმა ვერც ერთმა მოწინააღმდეგემ ვერ შეძლო ერთ პარტიაში თუნდაც ოთხი გეიმის მოგება.

***– მთელი ტურნირის განმავლობაში არც ერთ სეტში არ წაგიგიათ სამ გეიმზე მეტი. ისე ჩანდა, თითქოს იოლად იმარჯვებდით, მაგრამ ძალიან ემოციურად გამოხატავდით გრძნობებს.***

– იოლი მატჩები არ არსებობს. ფინალიც ასეთი იყო. ვოზნიაცკი თანდათან უმატებდა თამაშს და ძალიან გრძელი გათამაშებები გვქონდა. ასე რომ, ფინალს არ შეიძლება იოლი მატჩი ეწოდოს.

***– რამდენად მნიშვნელოვანი იყო სეზონის მაჟორულ ნოტაზე დასრულება და თუნდაც ერთი დიდი ტურნირის მოგება?***

– არ მეგონა წელს მოგებას საერთოდ თუ შევძლებდი. ადრე ვთქვი, რომ გონებით უკვე ახალ სეზონში ვიყავი და 2014 წელზე აღარ ვფიქრობდი. ახლა მრცხვენია საკუთარი სიტყვების. დღეს კმაყოფილი ვარ და სიტყვები არ მყოფნის სიხარულის გამოსახატავად.

***– მე-18 მოგებით თქვენ გაუთანაბრდით კრის ევერტსა და მარტინა ნავრატილოვას „დიდ სლემზე" ტიტულების რაოდენობით. რა ადგილი გიკავიათ საჩოგბურთო ისტორიაში?***

– ამაზე არ ვფიქრობ, რადგან ჯერ ისევ ვთამაშობ. დღეს უკვე გონებაში მე-19 ტიტულია. უბრალოდ მინდა გავაგრძელო თამაში და მაქსიმალურ შედეგებს მივაღწიო. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ კრისსა და მარტინას შემადარებდნენ, რადგან უბრალო გოგონა ვიყავი თავში ოცნებით და ხელში ჩოგნით. ასეთ რამეს ვერც წარმოვიდგენდი. მთელი სეზონის განმავლობაში ვიცოდი, რომ 17 ტიტული მქონდა და წლის პირველ სამ „სლემზე" ვერ შევძელი კოლექციის შევსება. მოხარული ვარ, რომ ეს, ბოლოს და ბოლოს, მოხდა.

***– როგორ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იყავით უიმბლდონიდან ადრეული გავარდნის შემდეგ? ფიქრობდით იმის შესახებ, რომ აუცილებელი იყო მომატება?***

– იმედგაცრუებული ვიყავი, რადგან მონდომებით ვემზადებოდი ამ ტურნირისთვის. ყოველდღე ექვსსაათიანი ვარჯიშები მქონდა. შემდეგ გავიფიქრე, რომ, შესაძლოა, არ იყო საჭირო ასეთი ვარჯიში, რადგან შედეგები მაინც არ მოდიოდა. რაღაც სხვა უნდა მეცადა. დაახლოებით კვირანახევრის განმავლობაში აღარ ვიყავი ძალიან მონდომებული. ვმუშაობდი, მაგრამ არა ისე, როგორც წინა პერიოდში. მაშინ მივხვდი, რომ ოდნავი ამოსუნთქვა მჭირდებოდა. ძალიან დიდი ზეწოლა მქონდა საკუთარ თავზე. ეს არასწორი მიდგომა იყო, რადგან არ შემიძლია ყოველთვის მოგება, არადა, უკვე 18 „სლემი" დამიგროვდა.

***– ექვსჯერ გაიმარჯვეთ ამერიკის ღია პირველობაზე – ასეთი შედეგი არავის ჰქონია. რას გრძნობთ?***

– ძალიან სასიამოვნო გრძნობაა. არასოდეს მიფიქრია, რომ სწორედ აქ ექვსჯერ გავიმარჯვებდი, რადგან ხუთ-ხუთი ტიტული მქონდა ავსტრალიასა და უიმბლდონზე, აშშ-ის ღიაზე კი იმ მომენტისთვის მხოლოდ სამი. ახლა კი ექვსამდე ავედი. ეს შესანიშნავია.

***– ამ ტურნირის მოგებით საკუთარ თავს რამე დაუმტკიცეთ?***

– არა. უბრალოდ მინდოდა გამევლო მერვედფინალური ეტაპი – ეს სტადია წელს გადაულახავი იყო ჩემთვის სხვა „სლემებზე". ჩემი მიზანი იყო რამდენიმე მატჩის მოგება.

***– რამდენად რთულია საუკეთესო მეგობრის წინააღმდეგ თამაში?***

– ძალიან არასასიამოვნო მომენტია. მაგრამ ორივეს გვინდოდა მოგება. ბევრჯერ მითამაშია ვინუსის წინააღმდეგ და ეს გამოცდილება დამეხმარა. თუ მასთან თამაში შემიძლია, სხვასთანაც მოვახერხებ.

***– თქვენმა მწვრთნელმა პატრიკ მურატოღლუმ ერთხელ თქვა, რომ არ არის საჭირო დამატებით თქვენი მოტივირება. ეს მართალია?***

– დიახ. შესაძლოა, ზედმეტადაც ვარ მოტივირებული. ძალიან ბევრს ვვარჯიშობ და არ ვაპირებ გაჩერებას. ხანდახან ვეკითხები მწვრთნელს – ეს ნორმალურია? ის მპასუხობს – არა.

***– ფიქრობთ შტეფი გრაფის რეკორდზე, რომელიც 22 მოგებულ „სლემს" უდრის?***

– არა. ახლა ვფიქრობ მხოლოდ მე-19 ტიტულზე. 22-ზე ფიქრი ჯერ ნაადრევია. ყველაფერს თანდათან ვაკეთებ.

***– ბევრი ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ როცა ფორმის პიკზე იმყოფებით, თქვენი დამარცხება შეუძლებელია. ეთანხმებით?***

– დიახ. ყოველთვის ვამბობდი, რომ საუკეთესო ჩოგბურთის შემთხვევაში ჩემი დამარცხება რთულია, რადგან ბრწყინვალედ ვაწვდი, კარგი მილება მაქვს, სწრაფი ვარ. თუ ყველაფერი გამომდის, მართლაც რთულია ჩემი დამარცხება.

***– გინდათ თქვათ, რომ სხვა ლიგაში ხართ?***

– არ ვიცი. არ მინდა ამის თქმა, მაგრამ გავიმეორებ, რომ ჩემი დამარცხება რთულია, თუ თამაში გამომდის.

***– როგორ დაახასიათებთ ვოზნიაცკის, როგორც მეგობარს?***

– ის მხიარულია, სასიამოვნო. შეუძლია მხარი დაგიჭიროს რთულ სიტუაციაში. კაროლინი ძალიან კეთილი ადამიანია. შემიძლია მას ნებისმიერი საიდუმლო ვანდო. კარგია, როცა ასეთი ადამიანი არსებობს.

***– თქვენგან განსხვავებით, ფედერერმა ვერ მიაღწია მე-18 ტიტულამდე კარიერაში და მეექვსე ტიტულამდე – აშშ-ის ღიაზე. ამის გამო ნერვიულობდით?***

– დიახ. ვფიქრობდი, რომ ეს არ იყო ჩვენი ტურნირი. მაგრამ ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა მაინც გაიმარჯვა.

# იფან ჰოუმ გრან პრის საერთო სერია მოიგო

მსოფლიოს ჩემპიონ იფან ჰოუს (ჩინეთი) გამარჯვებით დასრულდა 2013-14 წლების ქალთა გრან-პრის გათამაშება.

სამი საუკეთესო შედეგის შეჯამებით ჰოუმ 465 ქულა დააგროვა და დიდი უპირატესობით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ კონერუ ჰუმპის (ინდოეთი). ინდოელი დიდოსტატის აქტივში 380 ქულაა, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლის შესაძლებლობა.

იმ შემთხევაში თუ წელს შემოდგომაზე დაგეგმილ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოუ იფანი ვერ შეინარჩუნებს პლანეტის საუკეთესო მოჭადრაკის ტიტულს, მასვე შანსი ექნება როგორც გრან-პრის სერიის ტურნირების გამარჯვებულს დაიცვას ტიტული ჩემპიონთან. ხოლო, თუ იფანი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს შეინარჩუნებს მაშინ გარნ-პრის მეორე ადგილოსან კონერუსთან მოუწევს დაპირისპირება.

ქართველი მოჭადრაკეები ნანა ძაგნიძე და ბელა ხოტენაშვილი 5-6 ადგილებზე გავიდნენ.

**საბოლოო მდგომარეობა:** 1.იფან ჰოუ (ჩინეთი) – 465 ქულა; 2.კონერუ ჰუმპი (ინდოეთი) – 380; 3.ვენჟუნ ჟუ (ჩინეთი) – 340; 4.ნა მუზიჩუკი (უკრაინა) – 335; 5.ნანა ძაგნიძე (საქართველო) – 310; 6.ბელა ხოტენაშვილი (საქართველო) – 300; 7.კატერინა ლაჰნო (რუსეთი) – 265; 8.ჰარიკა დრონოვალი (ინდოეთი) – 247,5; 9.ანა უშენინა (უკრაინა) – 242,5; 10.ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) – 230; 11.ჟაო ქსიუ (ჩინეთი) – 217,5; 12.ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) – 215; 13.ოლგა გირია (რუსეთი) – 215; 14.ელინა დანიელიანი (სომხეთი) – 210; 15.ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) – 200; 16.ტუვშინტუგს ბატჩიმეგი (მონღოლეთი) – 167,5; 17.ნაფისა მუმინოვა (უზბეკეთი) – 70; 18.ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) – 60; 19.ჟუ ჩენი (ჩინეთი) – 30; 20.გულისხან ნახბაიევა (უზბეკეთი) – 10; 21.ალინა ლამი (რუმინეთი) – 10.

# ამერიკა და ლიტვა ფინალისტს გაარკვევენ

ესპანეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე კალათბურთში ორი მეოთხედფინალური მატჩი გაიმართა.

ფავორიტად შერიცხულებმა, ლიტველებმა და ამერიკელებმა, შესაბამისად, თურქეთი და სლოვენია ჩამოიცილეს გზიდან და დღეს ერთმანეთში გაარკვევენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტის ვინაობას.

**ლიტვა – თურქეთი 73:61**

(13:18; 20:10; 14:16; 26:17)

კარგა ხანს უძალიანდებოდნენ თურქები მეტოქეს. გარკვეული დროის მანძილზე ლიდერობდნენ კიდეც. თუმცა, ბოლო მეოთხედის წინ 3 ქულით ჩამორჩნენ, შემდეგ სხვაობამ იმატა და თურქების უკანახაზელებმა სამქულიანით არაერთხელ სცადეს გაქცეულ ლიტველებთან დაწევა, მაგრამ ამაოდ.

ლიტვის ნაკრებს თამაში არ გამოდიოდა. ამაში ალბათ თურქთა ღვაწლიც არის, მაგრამ შედარებით მრავალფეროვნად უტევდნენ და ოსტატობამ მაინც თავისი გაიტანა.

ლიტველთაგან გამოსარჩევია სეიბუტისი (19 ქულა) და ვალანჩუნასი (12ქულა, 13 მოხსნა).

**სლოვენია – აშშ 76:119**

(22:29; 20:20; 22:37; 12:33)

პირველი ტაიმი გაუძალიანდა სლოვენია მრისხანე მეტოქეს, შემდეგ კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

მეორე ტაიმიდან „დრიმ თიმი" ჩვეულად ათამაშდა და სხვაობამ კატასტროფული სახე მიიღო.

ამერიკელთაგან ყველამ თავისი საქმე გააკეთა, სლოვენიელებს კი მარტო ზორან და გორან დრაგიჩების თამაშმა ვერ უშველა.

მეორე ნახევარფინალური წყვილი გუშინ გვიან ღამით გაირკვეოდა.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# პუტინი „ნატოს რეანიმაციაზე“ საუბრობს



დასავლეთის მიერ პროვოცირებული უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოწვეული კრიზისი ნატო-ს სამხედრო ბლოკის რეანიმირებისთვის გამოიყენება. ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ფედერალური ბიუჯეტის პროექტის შემუშავების თაობაზე გამართულ სხდომაზე განაცხადა. მისივე თქმით, რუსეთმა ყველაფერი უნდა იღონოს იმისთვის, რომ რუსეთის უსაფრთხოება გარანტირებული იყოს.

„უკრაინაში შექმნილი კრიზისი, რომელიც ზოგიერთი ჩვენი დასავლელი პარტნიორის მიერ იყო პროვოცირებული, ახლა ნატო-ს სამხედრო ბლოკის რეანიმაციისთვის გამოიყენება. ეს ყველაფერი, ცხადია, უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გადაწყვეტილებების მისაღებად. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს უსაფრთხოება აბსოლუტურად გარანტირებული იყოს“, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

„ნატო-ს აღმოსავლეთისკენ გაფართოება“ – ეს არის რუსეთის ჩათრევის მცდელობა შეიარაღების ახალ შეჯიბრში. ამის შესახებ რუსეთის ვიცეპრემიერმა დიმიტრი როგოზინმა განაცხადა. მისივე თქმით, ნატო-ს მცდელობა – მიუახლოვდეს რუსეთს, თავისებური ფსიქოლოგიური შეტევაა.

„ეს არის მცდელობა, ჩაგვითრიონ შეიარაღების ახალ შეჯიბრში, რათა გვაიძულონ უამრავი თანხის სპონტანურად დახარჯვა, რომ ეს თანხები სოციალური პროექტების, განათლებისა და მეცნიერების ნაცვლად, მივმართოთ თავდაცვით და სამხედრო ხარჯებზე, რაც სრულიადაც არ არის მუქარის ადეკვატური“, – აღნიშნა როგოზინმა.

მისივე თქმით, მსგავსი პრობლემა ერთხელ უკვე არსებობდა რეიგანის დროს, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირის სამხედრო-საწარმოო კომპლექსმა ქვეყნის მდგომარეობა დაასუსტა, რამაც საბჭოთა ქვეყნის კრახი გამოიწვია. „ამიტომ აქ საჭიროა იმის გაგება, სად პროპაგანდაა და სად ცდილობენ ჩვენს მოტყუებას“, – განაცხადა როგოზინმა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

სპორტი

# თავისუფლები კინკილა მედლის ამარა დარჩნენ

ტაშკენტში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა მხოლოდ ერთი მედალი მოიპოვა. ევროპის ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (57 კგ) ამჯერად ოქროს ვერ შესწვდა. არადა, ახლოს იყო.

ქართველმა მოჭიდავემ ფინალური ორთაბრძოლა მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონთან, ჩრდილოკორეელ კიონგ ლი იანგთან 3:5 დათმო, მიუხედავად იმისა, რომ პირველი პერიოდი 3:0 სძლია.

ხინჩეგაშვილმა ფინალში გასვლამდე ჩილელი ანდრე რენატო ქუისპე (10:0), აზერბაიჯანელი ახმედმაბი გუეზატილოვი (8:2), ბელარუსი ვლადისლაუ ანდრეიუსი (4:0) და მონღოლი ბეხბაიარ ერდენებატი (6:3) დაამარცხა.

ჩემპიონატის პირველ დღეს, ჩემპიონ-პრიზიორები 70, 86 და 125 კილოგრამ წონით კატეგორიებშიც გამოვლინდნენ. საქართველოს სახელით ალექსანდრე ჯაჭვაძემ (70 კგ), დავით მარსაგიშვილმა (86 კგ) და გიორგი საკანდელიძემ (125 კგ) იჭიდავეს, მაგრამ სამივე ადრეულ ეტაპზე დამარცხდა. შედარებით შედეგიანად მარსაგიშვილმა იჭიდავა, თუმცა მეოთხედფინალში ყაზახეთის სახელით მოჭიდავე ასლან კახიძესთან დამარცხდა.

მეორე დღეს პოდიუმზე ასვლის რეალური შანსი ჯუმბერ ყველაშვილსა (74 კგ) და ელიზბარ ოდიკაძეს (96 კგ) ჰქონდათ, მაგრამ ორივეს თითო გამარჯვება დააკლდა. შესაბამისად, მეხუთე ადგილებს დასჯერდნენ.

ყველაშვილმა ძირითად ბადეში თურქი სონერ დემიტრაში (4:3), ყაზახი გალიმჟან უსერბაიევი (5:1) და აზერბაიჯანელი აშრაფ ალიევი (9:5) დაამარცხა, ნახევარფინალში თავად წააგო იაპონელ სოსუკე ტაკატანისთან 1:3, ხოლო რეპეშაჟის ფინალში კუბელ ლივან ლოპესთან უშანსოდ დარჩა (1:11).

ოდიკაძემ ჯერ მექსიკელი იესი რუიზ ფლორესი დაამარცხა (10:0), შემდეგ კი ხეთაგ გაზიუმოვთან თანაბარ ბრძოლაში წააგო(1:2). რადგან გაზიუმოვი ფინალში გავიდა, თავად ბრინჯაოსთვის ბრძოლაში გადაერთო, სადაც მოლდოველ ნიკოლაი ჩებანს სასურველი ფრით (2:2) გასცდა, მონღოლ ხუდერბულგა დორჟხანდს 3:2 მოუგო და რეპეშაჟის ფინალში უკრაინელ ვალერი ანდრიიცევს დაუპირისპირდა და სუფთად წააგო.

მეორე დღეს მედლები 61 და 65 კილოგრამ წონით კატეგორიებშიც გათამაშდა. საქართველოს დროშის ქვეშ ამ წონებში ბექა ლომთაძემ (61 კგ) და მალხაზ ზარქუამ (65 კგ) იჭიდავეს, მაგრამ ჩემპიონატზე გამოსვლა ადრიანად დაასრულეს.

# შუქურამ ტორპედო დაამარცხა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში 12 სექტემბერს განახლდება, მანამდე კი, ვინც როგორ ახერხებს, ისე მართავს საწვრთნელ პროცესს.

ქობულეთში ეწვია „შუქურას“ ქუთაისის „ტორპედო“ და ამხანაგური მატჩი გამართეს „ჩელე არენაზე“.

ქობულეთურ მატჩში გამარჯვებული ერთადერთმა გოლმა გამოავლინა, რომელიც 28-ე წუთზე, მასპინძელთა რიგებიდან ლეგენდარული ვეტერანი ფეხბურთელის რევაზ ჩელებაძის (ამჟამად, იგი „შუქურას“ პრეზიდენტია) ვაჟმა გიორგი ჩელებაძემ დაახლოებით 25 მეტრის მანძილიდან გაიტანა.

რასაკვირველია, შანსები ორივე კართან მრავლად იყო, თუმცა უფრო ახლოს გოლთან ზღვისპირელები იყვნენ. საბოლოოდ, 1:0 ქობულეთელთა სასარგებლოდ.

შუქურა: ჯიოევი (კაკალაძე 48), კალანდაძე, ხოჭოლავა (ლობე 46), ბერუაშვილი, გურული (ჩელებაძე 74), კუტალია (ჩალაძე 57), კუხიანიძე (კომახიძე 69), ჩაფიძე, ჩელებაძე (მესხი 61), კომახიძე (ტაკიძე 46), ზ. ტუღუში (მეტრეველი 46)

ტორპედო: თებიძე (ბობლიაშვილი 46), მახვილაძე (ელიავა 46), თოდუა, ჩაკვეტაძე (მამასახლისი 67), გიორგაძე (ქებურია 29, დუდუჩავა 73), ბონდარენკო, ჩიკვილაძე (ჩადუნელი 57), დრევალი (გოგიჩაიშვილი 64), ბაბუნაშვილი (ბ. ტუღუში 46), მარკოზაშვილი (კვასხვაძე 46, შენგელია 67), კვერნაძე (ფიფია 46).

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

კულტურა

# ნიკა რურუა: „მიშა გიორგაძე უკეთესი მინისტრია, ვიდრე წინა“

*ეკა ირემაშვილი*

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა აცხადებს, რომ ახლანდელი კულტურის მინისტრი მიშა გიორგაძე ბევრადუ ფრო უკეთესია, ვიდრე წინა – გურამ ოდიშარია. ამის შესახებ მან სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა:

„კულტურის სფეროში რეფორმების გატარება ურთულესი საკითხია, რადგანაც საქმე გვაქვს ყველასათვის საყვარელ ადამიანებთან. რთული საქმიანობა ნამდვილად ელის კულტურის მინისტრს. იქ ვმუშაობდი და ვიცი ის ამოცანები და ის მდგომარეობა, რომელიც ამ სფეროში არის. ამ სფეროში ძალიან რთულია რეფორმირება, რადგანაც საქმე გვაქვს ყველასათვის საყვარელ ცნობილ ხალხთან, ბევრი მათგანი მიჩვეულია ისე მუშაობას, როგორც მუშაობდა ყოველთვის. დღეს ხანდახან ეს ფორმები მუშაობისა მოძველებულია და არაეფექტური, ამიტომ იქ რეფორმირება საკმაოდ რთულია. ბუნებრივია მიშა გიორგაძე აშკარად უკეთესია, ვიდრე წინა მინისტრი, ის ბევრად ადეკვატურია, ვიდრე მისი წინამორბედი და ჩემი მემკვიდრე, ეს ამ მცირე მონაკვეთში გამოჩნდა, მაგრამ ყველაფერს დრო გვიჩვენებს. მინდა ვუსურვო ყველაფერი კარგი, მიუხედავად იმისა, რომ ის ხელისუფლების გუნდშია, ეს მისი გადაწყვეტილებაა და ყველა უფლება აქვს ამისთვის. თუ ის, და მთელი მთავრობა იქნება წარმატებული, რაც ჯერჯერობით სახეზე არ არის, მიშას არ ვგულისხმობ, დანარჩენებზე ვამბობ, მხოლოდ გამიხარდება, რადგანაც ეს კარგია ჩვენი ქვეყნისათვის. წარმატებული ხელისუფლება არის ქვეყნისთვის კარგი, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ აიოლებს ოპოზიციის საქმეს, მაგრამ მომავალი გვიჩვენებს. მიშა არის კარგი მენეჯერი, კარგი ორგანიზატორი და ეს გამოჩნდა მისი მრავალწლიანი მუშაობის შედეგად „ისთერპრომოუშენში“, რომელიც მან წლების განმავლობაში გაწია. ის ორი ფესტივალი, რომელიც მან დააფუძნა და ატარებს, არის ერთ-ერთი წამყვანი ფესტივალები საქართველოში და ძალიან პოპულარულია. მინისტრობა სულ სხვა გამოწვევაა, ამიტომ გამოჩნდება, როგორი იქნება მისი მუშაობა. მინდა მას წარმატება ვუსურვო, იმიტომ რომ ის ჩემი მეგობარია.“

# მანანა მენაბდე თბილისში ჩამოდის

*ეკა ირემაშვილი*

ცნობილი ქართველი მუსიკოსი და მომღერალი მანანა მენაბდე საქართველოში ბრუნდება. „ილუზიები 2013“ – ასე ეწოდება ღონისძიებას, რომელიც გამოფენასა და კონცერტს მოიცავს. გამოფენა 11 სექტემბერს გალერეა „ნექტარში“ გაიმართება, კონცერტი კი 13 სექტემბერს „ნექტარის“ სარდაფშია დაგეგმილი.

მანანა მენაბდე უკვე წლებია საზღვარგარეთ ცხოვრობს და საქართველოში ეტაპობრივად ჩამოდის. ის კონცერტებს მართავს ყველგან, სადაც ელოდებიან და უყვართ. ზაფხულში მანანა მენაბდემ პიანისტ ნიკა ნიკვაშვილთან ერთად ჩაატარა კონცერტი, რომელსაც „სიზმრები საქართველოზე“ უწოდა. ღონისძიებაზე აჟღერდა ყველა ის ქართული სიმღერა, რომელიც მომღერლისთვის გამორჩეულად საყვარელია. საკონცერტო პროგრამაში მოხვდა ძველი რომანსები და მისეული ბალადები.

მანანა მენაბდე ცნობილი ქართველი მომღერლების დები იშხნელების შთამომავალია. ისინი ქართული ქალაქური რომანსის დამაარსებლებად ითვლებიან. კარიერის დასაწყისში მანანა მენაბდე კონცერტებით მოგზაურობდა ორკესტრ „რეროსთან“ ერთად. შემდეგ, მოსკოვში გაემგზავრა, სადაც რუსეთის თეატრალური ხელოვნების აკადემიაში სწავლობდა. აკადემიის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა მომღერალი სოლო კონცერტებით გამოდიოდა მოსკოვში, სადაც მსმენელს ქართული, რუსული და ევროპული სიმღერების, რომანსების და ნაწარმოებების თავისებურ ინტერპრეტაციას სთავაზობდა, თუმცა ოფიციალურ საბჭოთა ესტრადაში ის აშკარად არ ეწერებოდა. მისი მუსიკალური ნაწარმოებები პირველად ქართველი რეჟისორის, ლანა ღოღობერიძის ფილმში „დღეს ღამე უთენებია“ აჟღერდა. ფილმმა კანის კინოფესტივალზე მაყურებლის პრიზიც დაიმსახურა, სადაც მანანა მენაბდე თვითონვე მღეროდა საკუთარ სიმღერებს და ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა. სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა მისი შემოქმედების მთავარი კონცეფცია – ქართული ხალხური მუსიკალური საწყისების თანამედროვე მუსიკალური ენის საშუალებით გადმოცემა.

მანანა მენაბდე 20 წელზე მეტია ბერლინში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მან საკუთარი თავი შემოქმედების არაერთ სფეროში გამოსცადა. მუსიკის გარდა, ის წერს პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებებს, ხატავს და კერამიკულ ნაკეთობებს ამზადებს. ის თანამშრომლობდა ქართულ ფოლკლორულ ჯაზ კოლექტივთან „შინ“, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ მუსიკალურ ტრადიციებთან. ამას გარდა, მანანა მენაბდემ ნიკა მაჩაიძესა და გოგი ძოძუაშვილთან ერთად ჩაწერა ალბომი „შამი“, რომელშიც მომღერლის რეპერტუარი თრიფ ჰოპის სტილის არანჟირებითაა წარმოდგენილი.

ბი-ბი-სის რადიო და რადიო „თავისუფლება“ რეგულარულად გადასცემდა პროგრამებს მანანა მენაბდის შესახებ. მან მთავარი როლი მიიღო მუსიკალურ საგმირო ეპოსში, ნანა ხატისკაცისა და თენგიზ მაღალაშვილის ფილმში „არსენას ლექსი“, სადაც ის არსენას (ლადო ბურდული) დედის როლს ასახიერებს. მოგვიანებით ნანა ხატისკაცმა ისევ გადაიღო მომღერალი მხატვრულ ტელეფილმში „სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც რეჟისორმა სულხან-საბა ორბელიანის იგავების მიხედვით გადაიღო.

პეტერბურგულმა გამომცემლობა „აზია+“-მა მანანა მენაბდის იგავების წიგნი „და დრო გადიოდა...“ გამოსცა რუსულ ენაზე. მანანა მენაბდეს 4 ალბომი აქვს გამოცემული და გაჩერებას არ აპირებს.

# დამბალი ხაჭო არამატერიალური ძეგლია

*ეკა ირემაშვილი*

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, უძველეს ფშავურ საკვებ პროდუქტს – დამბალ ხაჭოს არამატერიალური ძეგლის სტატიუსი მიენიჭა.

– დამბალხაჭო (დამბალი ხაჭო) ტრადიციული ფშაური საკვებია. მზადდება კარაქის შედღვების შემდეგ დარჩენილი დოს ხაჭოსაგან. მარილში გადაზელილ ხაჭოს კვერებს რამოდენიმე დღე უმზეოდ აშრობენ წნელისაგან მოწნულ სპეციალურ სათავსში – ძობანში, რომელიც ხშირად შუაცეცხლის თავზე, ამავალი ბოლის ზევით ჰკიდია. გამშრალ ხაჭოს კვერებს დასალბობად ალაგებენ თიხის ქოთანში. ჰერმეტულობის და მუდმივი ტემპერატურის შესანარჩუნებლად ქოთანი შეიძლება მიწაში იყოს დაფლული. ასე ლბება ხაჭოს კვერები დაახლოებით 1,5-2 თვის განმავლობაში. ლბობის პროცესში გარედან იკიდებს „კეთილშობილ ობს“ რომელიც გემრიელიცაა და სასარგებლოც. ობიანი კანის შიგნით ხაჭოს კვერები ლბება და სასიამოვნო ოქროს ფერს იღებს. დღეისათვის ფშავსა და ფშავლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში კვალავაც შემორჩენილია დამბალხაჭოს არა მხოლოდ კეთების, როგორც ოჯახში მოსახმარად, არამედ სარეალიზაციოდ წარმოების ტრადიცია. სარეალიზაციოდ არაგვისა და ივრის ხეობის სოფლებში დაახლოებით 20-25 ოჯახი ინტენსიურად პრაქტიცირებს დამბალხაჭოს უძველესი ტექნოლოგიით დამზადებას. ომში, სხვა შესაბამის საგზალთან ერთად, ფშაველ მეომრებს საკვებად, გამძლეობისა და სიმსუყის გამო, სწორედ დამბალხაჭო მიჰქონდათ, – განმარტა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკა ანთიძემ.

# თბილისში ლიტერატურის ფესტივალი ჩატარდება

11-დან 13 სექტემბრის ჩათვლით თბილისში ლიტერატურის ფესტივალი „ლიტ ტური“ ჩატარდება. ფესტივალის ძირითადი ნაწილი სასტუმრო ჰოლიდეი ინნ თბილისი-ში, ხოლო ოფიციალური გახსნა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 11 სექტემბერს შედგება.

– ეს ფესტივალი ტარდება საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის პატრონაჟით და მიზნად ისახავს მწერლების, გამომცემლების, ლიტერატურული აგენტებისა და კრიტიკოსების შეკრებას თბილისში, რათა ქართველი მწერლები გაეცნონ საერთაშორისო გამოცდილებას, ტენდენციებს და მათთან დაკავშირებულ პრობლემებს. ფესტივალი შექმნის ლიტერატურულ პლატფორმას, მასში მონაწილე კავკასიელი, აზიელი, ევროპელი და ქართველი გამომცემლების, ავტორების, ლიტერატურული აგენტების, კრიტიკოსებისა და ჟურნალისტებისთვის შეხვედრებისა და დისკუსიების მოსაწყობად. ეს მულტიკულტურული, მულტიპროფესიონალური ღონისძიებები კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქართული კულტურის განვითარებას და მის პოპულარიზაციას გლობალური მასშტაბით. ფესტივალი ხელს შეუწყობს ქართული კულტურის და თანამედროვე ლიტერატურის განვითარებას და პოპულარიზაციას დასავლეთში. „ლიტ ტური“ ჩატარდება ყოველწლიურად, რაც საქართველოს მოამზადებს 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე წარსადგენად, – განუცხადა „ახალ თაობას“ პროექტის კურატორმა ჯაბა სიხარულიძემ.

*ეკა ირემაშვილი*

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 2. ბილიარდის თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 3. ქართული ნაციონალური კერძი; 5. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 7. ისრაელის პარლამენტი; 9. უკრაინის პრეზიდენტი; 13. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 15. ქართული ლუდი; 16. სამურაების მეთაური; 18. სასვენი ნიშანი გრამატიკაში.

**თარაზულად:** 4. ნიჩბოსანთა სავარჯიშო ნავი; 6. წარწერა საფლავის ქვაზე; 8. საზღვაო გადაზიდვების პირობების შემცველი დოკუმენტი; 10. კუთხე საქართველოში; 11. საავტომობილო შეჯიბრების ერთ-ერთი სახეობა; 12. განუხორციელებელი ოცნება; 14. ქართული ტელეკომპანია; 17. იაპონელი მოდელიორი; 19. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 20. სახელმწიფო ევროპაში; 21. ძვირფასი ლითონი; 22. ზემდგომი ორგანოების სახელმძღვანელო მითითება, რომლის შესრულება აუცილებელია; 23. ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პლებისციტი; 2. ნოველა; 3. სუპორტი; 4. რუმბი; 5. კონსუელო; 6. ებანი; 7. ბენუარი; 9. ბორნეო; 13. დიდრო; 17. ქისი; 18. მზე.

**თარაზულად:** 1. პაოლინი; 3. სოკარი; 8. კომბლე; 10. ჰესბოლა; 11. კიური; 12. მინკუსი; 14. აცტეკა; 15. ქვირითი; 16. ლუქსი; 19. ბერდია; 20. კირთაძე; 21. საცივი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბატარეა; 2. აპატრიდი; 3. წირქოლი; 5. სელადონი; 7. დიოგენი; 9. ხევსურეთი; 13. მორთული; 15. ლეჟავა; 16. ლოზანა; 18. ტროპი.

**თარაზულად:** 4. კავასაკი; 6. დეპრესია; 8. მაღალაშვილი; 10. ტუგრიკი; 11. ვალი; 12. ინტერი; 14. ალუვი; 17. პრადო; 19. აჟური; 20. სამთავრო; 21. იგლუ; 22. მანჭკვალა; 23. მიამიტი.

# რობერტ სტურუა მაყურებელს პრემიერით უბრუნდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გამარჯვებად იქცა. მის მიერ 40-50-იან წლებში შექმნილი პიესებია „შეხვედრა მშენებლობაზე“, „ბედნიერი სამჭედლო“, „გორგასალი“, „მეფე ბაგრატ მეშვიდე“, ტრაგედია „მეფე დიმიტრი თავდადებული“. მან სიცოცხლეშივე მოიპოვა თანამედროვე კრიტიკისა და საზოგადოებრიობის დიდი აღიარება.



„ციცინათელა“, „პაექრობა“, რომელთა გადამუშავების საფუძველზე დრამატურგმა ახალი პიესა „ცხოვრების ჯარა“ შექმნა. პოლიკარპე კაკაბაძის ისტორიულ პიესას „კახაბერის ხმალი“ უხვად ასაზრდოებს ქართულ ფოლკლორული სახეები. პიესა პირველად დაიდგა ქუთაისში, შემდეგ კი თბილისში.

სიცოცხლის ბოლო ათწლეულში პოლიკარპე კაკაბაძე ინტენსიურად მუშაობდა ისტორიულ დრამისა და ტრაგედიის ჟანრში. ამ პერიოდში მან გამოაქვეყნა დრამატული პოემები „მეფე ვახტანგ პირველი მისი „ყვარყვარე თუთაბერის“ მიხედვით შექმნილია ფილმი „ყვარყვარე“. პოლიკარპე კაკაბაძე 79 წლის ასაკში თბილისში გარდაიცვალა.

რობერტ სტურუას „ასულნი“ რუსთაველის თეატრში 26 და 27 სექტემბერსაც იქნება წარმოდგენილი. სექტემბრის თვეში თეატრის მოყვარული საზოგადოება ამ თეატრში კიდევ ორ სპექტაკლს დავით საყვარელიძის „მალე მოვალ წვიმად“ და გოშა გორგოშიძის „სტუმარ მასპინძელს“ იხილავს.

**ეკა ირემაშვილი**

# სამეფო უბნის თეატრი სეზონს პრემიერით გახსნის

სამეფო უბნის თეატრი ახალ 17-ე თეატრალურ სეზონს პრემიერით გახსნის. 13 სექტემბერს თეატრში მისული მაყურებელი იხილავს სპექტაკლს „ბეჩავი“, რომელზეც ახალგაზრდა რეჟისორი მიხეილ ჩარკვიანი მუშაობს. პიესა ახალგაზრდა ქართველ დრამატურგს დავით გაბუნიას ეკუთვნის. ერთმოქმედებიან კომედიაზე მუშაობენ მხატვარი ქეთი ნადიბაიძე, მუსიკოსი ერეკლე დეისაძე, ტექნიკური რეჟისორი მაია სახლთხუციშვილი. ახალ სპექტაკლში მონაწილეობენ გაგა შიშინაშვილი, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე და იაკო ჭილაია. თეატრის ხელმძღვანელობა მაყურებელს აფრთხილებს, რომ 12 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან.

სამეფო უბნის თეატრი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. 16-ე თეატრალური სეზონი მან საკმაო წარმატებით დახურა. თეატრმა არაერთ წარმატებასაც მიაღწია – დათა თავაძის მიერ დადგმული კიდევ ერთი სპექტაკლი „ტროელი ქალები“ მიიწვიეს ბრიუსელში უმნიშვნელოვანეს სახელოვნებო ცენტრ ბოზარში, სადაც სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა, სეზონის მიწურულს „ტროელ ქალებს“ თეატრალური პრემია „დურუჯი“ ერგო ნომინაციაში „საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი“, იგივე სპექტაკლი მიიწვიეს პარიზში. სამეფო უბნის თეატრი შეუერთდა გეტებორგის აკადემიის პროგრამას და შვედი სტუდენტებისთვის ჩაატარა ერთკვირიანი უორქშოფი დოკუმენტურ თეატრზე. წინა სეზონი სამეფო უბნის თეატრმა პრემიერით დახურა და ახალ თეატრალურ სეზონსაც პრემიერით ხსნის. ამავე თეატრის დრამატურგის დავით გაბუნიას პიესა „ბეჩავი“ რეჟისორმა მიხეილ ჩარკვიანმა დადგა, რომელიც 2013 წლის „დურუჯის“ გამარჯვებულია სამეფო უბნის თეატრში განხორციელებული სპექტაკლისთვის „კატცელმახერი“.

სამეფო უბნის თეატრის წარმომადგენელი დათა თავაძე განმარტავს, რომ ეს მიხეილ ჩარკვიანის მეორე სპექტაკლის პრემიერაა ამ თეატრში:

„მიხეილ ჩარკვიანის აწ უკვე მეორე სპექტაკლის პრემიერა სამეფო უბნის თეატრში! როგორ ვერ იტანს საზოგადოება განსხვავებულ არჩევანს და როგორ მიმართავს ყველაზე ამორალურ ხერხებს ბალანსის აღსადგენად! მიხარია, რომ სწორედ ამ სასტიკი და სასტიკად სასაცილო პიესით, ამ რეჟისორითა და ამ თემით გახსნის სამეფო უბნის თეატრი თავის მე-17 სეზონს!“

**ეკა ირემაშვილი**

# სამგლოვიარო განცხადებები

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა მწუხარებას გამოთქვამს პროფესორ

**თეიმურაზ კოპალეიშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

რევაზ სვანიშვილი, მიხეილ ხვადაგიანი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მეგობრის, საუკეთესო პიროვნების

**თეიმურაზ კოპალეიშვილის**

გარდაცვალების გამო და გულითადად თანაუგრძნობენ ოჯახს.

თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის კოლექტივი თანაუგრძნობს ყოფილ თანამშრომელ ლია ლევერაშვილს მამის, კეთილშობილი ქართველის

**ლევან ლევერაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# „კინოექსპრესი – სომხეთი-საქართველო“

**ეკა ირემაშვილი**

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ოქროს გარგრის კინემატოგრაფიის ფონდმა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალთან ერთად ახალი პროექტი „კინოექსპრესი – სომხეთი-საქართველო“ დაიწყო.**

პროექტი გულისხმობს ექვსი უახლესი სომხური და ქართული ფილმის ჩვენებას სამცხე-ჯავახეთში, შირაქისა და ლორის რეგიონებში. „კინოექსპრესის“ პრეზენტაცია ივლისში ერევნის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. მისი პრეზენტაცია გაიმართა გიუმრისა და ამასიაში, ხოლო შემდეგ საქართველოში გადმოინაცვლა. ჩვენს ქვეყანაში „კინოექპრესმა“ ნინოწმინდა, ახალქალაქი, ახალციხე და ბორჯომი გააერთიანდა.

ოქტომბრის თვეში ფესტივალი მოგზაურობას ისევ სომხეთში განაგრძობს, კერძოდ, ვანაძორსა და ალავერდში. „კინოექსპრესი – სომხეთი-საქართველო“ დეკემბერში თბილისის მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალზე დაიხურება. პროექტი ხორციელდება ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონულ ოფისთან თანამშრომლობით. აგრეთვე სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსა და საქართველოს ძეგლთა დაცვისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით. ფესტივალი ბორბლებზე (სტუმარი ფესტივალი) ფორმატში დაგეგმილ „კინოექსპრესს“ ცხრა ლოკაცია ექნება: ერევანი, გიუმრი, ამასია, ვანაძორი, ალავერდი სომხეთში და ახალქალაქი, ნინოწმინდა, ახალციხე, ბორჯომი და თბილისი საქართველოში. პროექტის მიზანია კულტურის, განსაკუთრებით კინოკულტურის, როგორც ეფექტური მედიუმის გამოყენება კულტურათაშორის დიალოგში, კეთილ თანამეზობლობაში სომხეთსა და საქართველოს შორის და მათ დაახლოებაში.

ფესტივალისთვის შეირჩა ფილმები: ზაზა ურუშაძის „მანდარინები“, თინათინ ყაჯრიშვილის „პატარძლები“, რუსუდან ჭყონიას „გაილიმეთ“, ჯივან ავეტისიანის „თევანიკი“, ლუსინე სარგსიანის „სამყოფელი“, ჰრანტ ვარდანიანის „თეთრი კრავის სიზმარი“, დიანა კარდუმიანის „დიალოგები“, ოქსანა მირზოიანის „140 დრამი“, ალექსანდერ ბაღდასარიანის „გზა“.

ფესტივალი გიუმრში კინოთეატრში „ოქტომბერი“ გაიხსნა. გახსნის ცერემონიაზე წარმოდგენილი იქნა ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“. ამავე დღეს აჩვენეს ჯივან ავეტისიანის ფილმი „თევანიკი“, მოეწყო სომხური მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება. ჩვენებები ჩატარდა ღია ცის ქვეშ. ზაზა ურუშაძის ფილმის გარდა, ფესტივალში ჩაერთო თინათინ ყაჯრიშვილის ფილმი „პატარძლები“, ლუსინე სარგსიანის „სამყოფელი“, რუსუდან ჭყონიას „გაილიმეთ“.

8 სექტემბრიდან ფესტივალმა ახალქალაქში გადაინაცვლა. გახსნის ცერემონიაზე მოეწყო ფილმის „თევანიკი“ ჩვენება, რომლის რეჟისორიც ჯივან ავეტისიანია. პროგრამაში მოხვდა ზაზა ურუშაძის „მანდარინები“, თინათინ ყაჯრიშვილის „პატარძლები“, ლუსინე სარგსიანის „სამყოფელი“, რუსუდან ჭყონიას „გაილიმეთ“ და სომხური მოკლემეტრაჟიანი ფილმები. ახალციხის შემდეგ ფილმებს უჩვენებენ ბორჯომშიც.

„თევანიკი“ ჯივან ავეტისიანის წელს გადაღებული ფილმია, რომელიც ოჯახურ იდილიასა და სიყვარულზე, მეგობრობის გაუფასურებასა და მოულოდნელად მშვიდობის ომად ქცევაზე მოგვითხრობს. თევანიკის ცხოვრებაში გადამწყვეტი მომენტი დგება. ბიჭი ბრძოლაში ერთვება, მაგრამ მას იმ სილამაზის განადგურება არ სურს, რომელიც მისთვის კარგად ნაცნობი და საყვარელია. ჯივან ავეტისიანის „თევანიკი“ სომხურ-ლიტვური კოპროდუქციაა. ის ოქროს გარგარის მეთერთმეტე საერთაშორისო კინოფესტივალზე სომხური პანორამის კონკურსში იყო ნაჩვენები და პირველი პრიზით დაჯილდოვდა. ჯივან ავეტისიანი მრავალი დოკუმენტური ფილმის ავტორია. „თევანიკი“ კი მისი პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია

„სამყოფელი“ ლუსინე სარგსიანმა წელს გადაიღო. ეს არის ხუთი ისტორია ადამიანურ სითბოზე, დანაკარგზე, ღალატზე, ბრძოლასა და რწმენაზე. იმ სახლის კიბეებივით, სადაც პერსონაჟები ცხოვრობენ, ადიან და ჩადიან, ასევე დაღმა და აღმა იწევს მათი ბედისწერაც, რომელიც მათ 90-იანებიდან მოსდევს. ადამიანის ფსიქოლოგია ძირფესვიანად იცვლება. ძველი სახლი, სამყოფელი აერთიანებს ადამიანების ბედისწერას, რომელიც ახალ დროში იბადება. „სამყოფელი“ ლუსინე სარგსიანის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია. მას თხუთმეტამდე მხატვრულ და მოკლემეტრაჟიან ფილმზე უმუშავია, როგორც რეჟისორს. წელს საერთაშორისო კინოფესტივალზე „ოქროს გარგარი“ ფილმი „სამყოფელი“ ეკუმენური ჟიურის პრიზით აღინიშნა.

„თეთრი კრავის სიზმარი“ ჰრანტ ვარდანიანის შარშანდელი ნამუშევარია. ეს არის გროტესკის, აბსურდისა და ტრაგიკული ფარსის ნარევი ისტორია – კრავის თვალით დანახული სამყარო, სადაც წინა პლანზე ფილოსოფიური აზრებია ცხოვრების აზრის, ერთგულების, მეგობრობის, სიყვარულის და ღალატის შესახებ. „თეთრი კრავის სიზმრის“ ჩვენება პირველად შარშან ოქროს გარგარის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში, სომხური პანორამის კონკურსში შედგა. ეს ჰრანტ ვარდანიანის მეხუთე მოკლემეტრაჟიანი ფილმია.

„დიალოგები“ დიანა კარდუმიანმა ორი წლის წინ გადაიღო. როდესაც ღამის საბურველის ქვეშ შეყვარებულები ხვდებიან ერთმანეთს, ერევანი მომხიბვლელ ქალაქად იქცევა. რა უნდა შეცვალოს ერთმა გრილმა ზაფხულის ღამემ, წამიერმა გაელვებამ, დაუსრულებელმა საუბარმა მათ ცხოვრებაში? საუბრები – ბედნიერი, ბრალმდებლური, დამასევდიანებელი, მოგონებებით და გაურკვეველი სიცარიელითაა სავსე, რომლის შევსებაც არანაირ სიტყვას არ შეუძლია. დიანა კარდუმიანი ერევნის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის კურსდამთავრებულია. ის უამრავი წარმატებული მოკლემეტრაჟიანი ფილმის ავტორია. ამჟამად თავის პირველ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმზე მუშაობს.

„140 დრამი“ ოქსანა მირზოიანის ფილმია. ის პატარა ბიჭის ამბავს მოგვითხრობს, რომელიც პირველად უნდა წავიდეს მაღაზიაში მარტო. ყველაფერი რთულდება, როცა ბოლო 140 დრამი, რომელიც დედამ მისცა, გაძვირებულ რძეს არ ჰყოფნის. ბიჭმა არჩევანი უნდა გააკეთოს. ფრაგმენტული დიალოგები და ერთოთახიანი ბინის ინტერიერი კი ფილმში ახლანდელი სომხეთის ზოგად სურათს ხატავს. ოქსანა მირზოიანი ბაქოში, აზერბაიჯანში დაიბადა. მოგვიანებით ეთნიკური კონფლიქტის გამო შეერთებულ ის შტატებში გადასახლდა.

„გზა“, ალექსანდერ ბაღდასარიანის წელს დასრულებული ფილმია. ეს არის ორი ისტორია მორალურ დილემაზე და ადამიანურობის შენარჩუნების საფასურზე. პირველი ისტორია ბანაკის ტყვეზეა, რომელიც გერმანელ ოფიცერს არ ემორჩილება და საკუთარ სიცოცხლეს აგდებს საფრთხეში, მეორე კი საბედისწერო ავარიაზე, როცა ორი ბიზნესმენი სოფლის გზაზე ბავშვს გაიტანს. რას იზამენ ისინი? ალექსანდერ ბაღდასარიანი იურისპრუდენციას სწავლობდა სანქტ პეტერბურგში, მოგვიანებით კი ერევნის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი დაამთავრა. „გზა“ მისი სადებიუტო ფილმია.

„პატარძლები“ თინათინ ყაჯრიშვილის ფილმია. ფილმი ქართველი წყვილის, ნუცას და გოგას უჩვეულო ქორწინების ამბავს მოგვითხრობს. მათი ურთიერთობა მას შემდეგ იძაბება, რაც გოგას დაიჭერენ და რამდენიმე წლით პატიმრობას მიუსჯიან. თინათინ ყაჯრიშვილი თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინორეჟისურის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. ის რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი, დოკუმენტური და მხატვრული ფილმის პროდიუსერია. ფილმი „პატარძლები“ მისი სარეჟისორო დებიუტია.

„მანდარინები“ ზაზა ურუშაძემ შარშან გადაიღო. შავი ზღვის სანაპიროზე წლების წინ ესტონური დასახლება იყო. საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტმა ესტონელებს ამ adგილების მიტოვება აიძულა. მათი სოფლები სოფელ-აჩრდილებად გადაიქცა. ესტონელი კაცი ივო სოფელში მანდარინის მოსავლის ასაღებად შემორჩა. სისხლიანი კონფლიქტი ზედ მის კართან დაჭრილ კაცს დატოვებს და ივო იძულებულია შეიფაროს და უპატრონოს. ზაზა ურუშაძე კინორეჟისორი, პროდიუსერი და მწერალია. დამთავრებული აქვს თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი. იყო საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი და ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარე.

„გაილიმე“ რუსუდან ჭყონიამ ამ ფილმზე მუშაობა ორი წლის წინ დაასრულა. „აქ მთავარი სულის სილამაზეა, ეს დედების სილამაზის კონკურსია, ასე რომ, ძვირფასო ქართველო დედებო, გთხოვთ, გაილიმეთ“. საქართველო, თბილისი, 2010 წელი. დედების სილამაზის კონკურსი. გამარჯვებული ბინას და 25 ათას დოლარს მიიღებს. ათი დედა, რომელთა უმეტესობა მოსახლეობის უღარიბეს ფენას მიეკუთვნება, ნებისმიერ ფასად ეცდება კონკურსის მოგებას. რუსუდან ჭყონია თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს კინორეჟისურის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. ის რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმის სცენარისტი და რეჟისორია. მისი ფილმი „გაილიმეთ“ ახალი ქართული კინოს ბრწყინვალე გამოლვიძებაა. ფილმი საქართველოს სახელით ამერიკული კინოაკადემიის 85-ე დაჯილდოებაზე, ოსკარზე წარსადგენად შეირჩა საუკეთესო უცხოური ფილმის ნომინაციაში.

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 11 სექტემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 09.30 ან/ფ "ცხოველთა სამყარო" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 14.00 "გურმანია" 14.30 დ/ფ "ფოტოხელოვნება" 15.00, 21.00 ტ/სერ. **"ღირსება და პატივი"** 17.00 ტ/სერ. **"ჭორიკანა"** 18.30 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 22.00 "არენა" (პ/ტრ) 23.00 მხ/ფ **"უდანაშაულობის პრეზუმფცია"** (ჰ.ფორდი) 01.10 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი"

08.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 11.00 დ/ფ "კოდის კონცხი" 12.00 ტ/სერ. **"ნიკიტა"** 14.00, 16.00 დ/ფ "კატასტროფა ანდებში" I - II ნაწ. 19.00 დ/ფ "ტვინი სარკეში" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 22.00 დ/ფ "ახალგაზრდული სული" 23.00 მხ/ფ **"დაპირება არ ნიშნავს დაქორწინებას"** (ჯ.ენისტონი)

08.00 სერ. **"შურისმაძიებელი"**. 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. **"ბედის ანაბარა"**. 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 სერ. **"სილა"** 14.40 სერ. **"სიყვარული" ცა და მიწა"** 17.35 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 18.45, 19.03 სერ. **"ღირსების საქმე"** 20.55სერ. **"შავი ვარდი"** 22.00, 23.00 სერ. **"შუა ქალაქში-2"** 00.00, 01.00 სერ. **"20 წუთი"** 02.00 სერ. **"სიყვარულის სეზონი"** 03.40 მხ/ფ **"კაცების გარეშე"** (ე.ლონგორია)

06.30 სერ. **"არ დამივიწყო"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო. 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ეზელი"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"კარადაი"** 22.00 გააცინე და მოიგე 23.30 ექიმები 00.30 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 01.00 სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

08.00 მუსიკა 09.00, 17.00 **სერიალი "ლენა"** 10.00, 18.00 მენტალისტი 11.00, 15.00, 22.00, 00.20 მხ/ფ 13.00, 21.00 ინტერესის ობიექტი 14.00 სტილის სამყარო 16.30 URBAN STORIES 19.00 დროის მანქანა 19.50 მინიპედია 20.00 დ/ფ 22.00 მხ/ფ **"შეშლილი ქალაქი"** 23.50 ვარსკვლავთა ცხოვრება 02.25 მუსიკა

06.10 დ/ფ"საქართველოს დაცული ტერიტორიები" 06.35 მხ/ფ **"ელენე, ტროას დედოფალი"** I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ჩვენი ფონდი 11.05 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"გაზაფხული გადის"** 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 კონცერტი -"ბრავო, მაესტრო" გიზი ამირეჯიბი 15.05 სალბუნი 15.20 მხ/ფ **"ვალსი პეჩორაზე"** 17.00 დ/ფ "ვარძია" 17.25 დეკორატიული ფლორა 17.35 დიდ ხარ შენ, უფალო 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 "პორტრეტები" 20.10 მოკ./ფ **"ნისლა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 " თვენი" წმინდა იოანე ნათლისმცემელის თავის კვეთა 21.45 კვირიაკეს სიუჟეტი - იოანე ნათლისმცემლის მონასტერი 22.25 "დრო და ტრადიციები" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 იოანე ნათლისმცემლის იკონოგრაფიის შესახებ (ნანა ბურჭულაძე) 23.30 კვირიაკეს სიუჟეტი - იოანეს ნათლისმცემლის წმინდა ნაწილები 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ელენე, ტროას დედოფალი"** II ნაწ.

მაესტრო

7.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.10 ფარული კამერა 8.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30 დ/ფ "სწრაფი ზოლი" 10.05, 11.05 **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** 12.30 "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) 13.05, 14.05 **სერიალი "ასი"** 15.40, 16.05, 17.05 **სერიალი "1001 ღამე"** 18.40, 19.05, 20.07 **სერიალი "ქუჩეი და გუნეი"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**(I სეზონი) 0.10 SV 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) (გამ.) 0.30 ბრძოლა წესების გარეშე 1.20, 2.10 **მინისერიალი "საუკუნის შტორმი"** სერ. 3 ნაწ.1, სერ. 3 ნაწ.2

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1.7457

ევრო — 2.2596

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.8142

100 რუსული რუბლი — 4.7071

## ამინდის პროგნოზი 11 სექტემბრისთვის






კალეიდოსკოპი

## მოსწავლე ციხეში სკოლაში წასვლაზე უარის თქმის გამო მოხვდა



15 წლის ფლორიდელი მოსწავლე პოლიციამ სკოლაში წასვლაზე უარის თქმის გამო დააპატიმრა. სამართალდამცავები მოსწავლის დედამ გამოიძახა. ქალმა მათ აცნობა, რომ შვილს უკვე აუკრძალა ინტერნეტით სარგებლობა და ჩამოართვა კომპიუტერი და მობილური ტელეფონი, მაგრამ ის მაინც უარს აცხადებს სასწავლო დაწესებულებაში სიარულზე.

ადგილზე მისული სამართალდამცავები მოზარდს, რომლის ვინაობა არ სახელდება, დაპატიმრებით დაემუქრნენ, თუ ის სკოლაში არ წავიდოდა. ამის პასუხად კი მოზარდმა განაცხადა, რომ მაინც არ აპირებდა სასწავლო დაწესებულებაში გამოცხადებას. პოლიციელებმა ბიჭს ხელბორკილები დაადეს და საპატიმროში გადაიყვანეს. მოგვიანებით ის შტატის იუსტიციის დეპარტამენტში გადაიყვანეს, შემდეგ კი დედასთან დააბრუნეს.

ბიჭმა ფლორიდის სკოლაში სიარულზე უარი იმ მიზეზით თქვა, რომ მას სწავლა ნიუ-იორკში სურდა, საიდანაც მისი ოჯახი ფლორიდაში რამდენიმე თვის წინ გადმოსახლდა. მოზარდის დედამ აღნიშნა, რომ ნიუ-იორკში მისი შვილი ხშირად აცდენდა გაკვეთილებს და ცუდად სწავლობდა.

შერიფ ჩაკ მალიგანის თქმით, პოლიციამ მოზარდი ციხეში იმიტომ გადაიყვანა, რომ ის ბოლოს და ბოლოს გონს მოგებულიყო და სასწავლო დაწესებულებაში წასულიყო. უცნობია, ამ სასჯელმა იმოქმედა თუ არა მოზარდზე დადებითად.

## მსახიობები ნილ პატრიკ ჰარისი და დევიდ ბერტკა დაქორწინდნენ



ამერიკელმა მსახიობებმა ნილ პატრიკ ჰარისმა და დევიდ ბარტკამ, რომლებიც სერიალით „როგორ შევხვდი დედათქვენს" გახდნენ ცნობილები, ახლახან გამოაცხადეს, რომ იტალიაში დაქორწინდნენ. ამის თაობაზე საკუთარ ტვიტერში დაწერა პატრიკ ჰარისმა. პრესის ინფორმაციით ორივე სასიძო ტომ ფორდის კოსტიუმებში იყო გამოწყობილი, ხოლო მათ საზეიმო ცერემონიაზე სიმღერას ელტონ ჯონი ასრულებდა.

ისინი ეკვე 10 წელია ერთად ცხოვრობენ, ხოლო 2010 წელს მამები გახდნენ. ნილსა და დევიდს ტყუპები სუროგატი დედისგან შეეძინათ. წყვილმა სამოქალაქო პარტნიორობა 2004 წელს გააფორმა, მაგრამ ამის შესახებ ცნობილი მხოლოდ 2006 წელს გახდა, როდესაც ჰარისმა ჟურნალ პიპლისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა განცხადება

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## რობერტ სტურუა მაყურებელს პრემიერით უბრუნდება

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა ახალ თეატრალურ სეზონზე მაყურებელს პრემიერით უბრუნდება. ახალ სპექტაკლთან დაკავშირებით, რეჟისორმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს თავის წარმოდგენაზე ესაუბრა.

რიგით 136-ე თეატრალურ სეზონს რუსთაველის თეატრი 16 და 17 სექტემბერს გახსნის. დიდ სცენაზე წარმოდგენილი იქნება „ასულნი" – ფანტაზია პოლიკარპე კაკაბაძის პიესების მიხედვით. სპექტაკლის მხატვარია ანა ნინუა, კომპოზიტორი გია ყანჩელი, ქორეოგრაფი მარიამ ალექსიძე, მუსიკალური გამფორმებელი ია საკანდელიძე, რეჟისორის თანაშემწე მარინა ამაღლობელი.

„ეს ბრწყინვალე პოლიკარპე კაკაბაძის „სამი ასული" გახლავთ, ამავე დროს მისი დრამატურგიის თემების ვარიაციებს იხილავს მაყურებელი, მე ასე ჩამოვაყალიბე წარმოდგენის ჟანრი: ხუმრობა-ფანტაზია. რასაკვირველია, აფიშაზე ამას არ დავწერთ! არ ვიცი, რა გამოგვივა, როგორ მოეწონება მაყურებელს, ერთი კი ვიცი, რთული სპექტაკლი გამოგვდის, ჩემთვის, მსახიობისთვის, ქორეოგრაფისთვის და ალბათ თქვენთვისაც. მაშ, პრემიერამდე!" – განაცხადა რობერტ სტურუამ.



რუსთაველის თეატრის ახალ სპექტაკლში მონაწილეობენ ნინო არსენიშვილი, მანანა გამცემლიძე, თათული დოლიძე, მარინა კახიანი, ზაზა ლებანიძე, ნანა ლორთქიფანიძე, ეკა მინდიაშვილი, მარიკა ჭიჭინაძე, დარეჯან ხარშილაძე და მარინა ჯანაშია.

პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედება რობერტ სტურუასთვის ყოველთვის საინტერესო იყო. ამჯერად „ასულნი" დრამატურგის იუბილეს მიუძღვნა. პოლიკარპე კაკაბაძის პირველი ნოველა „ბრძენი მოქანდაკე" ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება" დაიბეჭდა. მის პირველ მნიშვნელოვან დრამატულ ნაწარმოებად მიჩნეულია პიესა „გზაჯვარედინზე", რომელიც წარმატებით დაიდგა ბაქოს სცენაზე და მისი რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა იყო. პოლიკარპე კაკაბაძის მიერ დაარსებულ ჟურნალში „შვიდი მნათობი" დაიბეჭდა მისი პიესები „სისხლი სინათლემდე" და „სამი ასული". რუსთაველის თეატრის სცენაზე პირველად მისი დრამა „ლისაბონის ტუსაღები" რეჟისორმა დოდო ანთაძემ დადგა. საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა დრამატურგის კომედია „ყვარყვარე თუთაბერი", რომელიც ქართული კომედიოგრაფიის საუკეთესო ნიმუშია. პიესა პირველად დადგა კოტე მარჯანიშვილმა, ახლებური იყო რობერტ სტურუას დადგმა რუსთაველის თეატრში. მარჯანიშვილის თეატრში განხორციელდა კაკაბაძის კომედია „კოლმეურნის ქორწინება". პიესა დრამატურგის ახალ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ნუკა კვალიაშვილი: „გადაგივლით თავზე!"

მომღერალი ნუკა კვალიაშვილი აცხადებს, რომ კარიერისთვის მოიცალა და პირველი ქავერიც უკვე ჩაწერა. მან არჩევანი უიტნი ჰიუსტონის ერთ-ერთ ჰიტად ქცეულ სიმღერაზე შეაჩერა. როგორც მომღერალი განმარტავს, ეს ქავერი მან იმ მრავალრიცხოვან მსმენელთა თხოვნით ჩაწერა, რომლებიც ნუკას სთხოვდნენ, სწორედ ეს ქავერი შეესრულებინა.

შემოქმედებითი კარიერის დაწყებასთან ერთად, მომღერალი ყველას ემუქრება, ვინც მის შეჩერებას შეეცდება:

„უმაგრესი შვილი მყავს, უმაგრესი ქმარი მყავს, უმაგრესი დედა მყავს, უმაგრესი მეგობრები მყავს, უმაგრესი და, რაც მთავარია, გემოვნებიანი გულშემატკივრები მყავს. ამაზე მაგარი რა არის?! ეხლა მხოლოდ საქმის კეთება დამრჩა და ფსიხი კარიერის აწყობა, რაც დავიწყე და ვაი იმათ, ვინც ჩემს გაჩერებას შეეცდება. გადაგივლით თავზე ნებისმიერს! ჩემო გულშემატკივრებო, მიყვარხართ, გაპასებთ, პატივს გცემთ და მადლობელი ვარ!"



მადლიერების ნიშნად ნუკამ სოციალურ ქსელში თავისი პირველი ნამუშევარიც გააზიარა, რომელმაც ბევრი მოწონება, გაზიარება და თბილი კომენტარი დაიმსახურა:

„ვინც მოისმინა, ვინც მოიწონა, ვინც გააზიარა, ვინც სიყვარულით მისურვა წარმატება, ვინც მიმიღო და უყვარს ჩემი ხმა, თითოეულ თქვენთაგანს, აბსოლუტურად სულ ყველას გიხდით ულრმესზე ულრმეს მადლობას! ბევრჯერ დამიწერია, მაგრამ კიდევ დავწერ რამდენჯერაც იქნება საჭირო რომ თქვენ მე მაბედნიერებთ, თქვენ მე სიხარულს მმატებთ და მიზანდასახულობას, იმას რომ უნდა მოგანიჭოთ მეტი და მეტი სიამოვნება სიმღერის დროს! როგორც ვთქვი უკვე ძალიან კარგად დავიძარი და ძალიან მალე შეიტყობთ ჩემს შესახებ სიახლეებს.

პ.ს. ფსიქოლოგიური ახსნა იმ ადამიანებისა ვისაც ამპარტავნება სჭირს, ამპარტავნებაა თავის ქება და შთაგონება საკუთარ თავში, რომ შენ ხარ №1 და შენ ამას ხმამაღლა ყვები და ამბობ, ეს იმის ნიშანია, როდესაც საკუთარ თავს აჯერებ იმას, რისიც შენს შინაგანს არ სჯერა, თვითკმაყოფილების გრძნობა ეუფლებათ ადამიანებს, რომლებიც ამას ხმამაღლა ყვებიან „აი მე მე მე და ყველამ გაიგოს რომ მე", მაგრამ საქმე იმაშია რომ აღიარება ქება დიდება შენი თავიდან არა, სხვისგან უნდა წამოვიდეს და როდესაც სხვებისგან მოდის იმდენი რამდენიც შენს შინაგანს 100% აკმაყოფილებს, მაშინ აღარ გჭირდება უკვე, რომ შენ ილაპარაკო შენს თავზე. ყველა მიყვარხართ, მართლა გულით ვწერ ამ ყველაფერს, შინაგანად სიხარულის უსასრულობას ვგრძნობ რომ ხართ, არსებობთ და ყველაზე მთავარი – ჩემს გვერდით რომ გხედავთ! მეამაყებით აბსოლუტურად ყველა!"

**ეკა ირემაშვილი**



## იუმორი



ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომ არსებობს ქალების ექიმი და არ არსებობს მამაკაცების ექიმი?

– იმიტომ, რომ მამაკაცობა ავადმყოფობა არ არის, – პასუხობს მეგობარი.

●●●

სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლი ახარებს:

– ძვირფასო, იცი, ორი კილოგრამი დავიკელი!

– ჩარეცხვა არ დაგავიწყდეს! – უპასუხა ქმარმა.

●●●

ქალი თავის დაქალს ეუბნება:

– გუშინ დავთვერი და გოგიმ ამით ბოროტად ისარგებლა.

– რა, გაგაუპატიურა?!

– არა, გამეპარა!

●●●

ორი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– გავიგე, ცოლს არ ელაპარაკები, მართალია?

– ჰო, მართალია.

– რატომ?

– ვიჩხუბეთ.

– ძალიან ცუდია!

– პირიქით, კარგია! უკვე მთელი კვირაა, ჩვენს ოჯახში სიმშვიდემ დაისადგურა.

●●●

ცოლი ქმარს უყურებს, თუ როგორ ანაწილებს ოთხ ნაწილად ვიაგრას. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ეუბნება:

– მომისმინე, ეგ ერთიანად უნდა დალიო!

– იქნებ მხოლოდ მინდა, რომ გაკოცო...

●●●

მესაზღვრე ძაღლთან ერთად საზღვრის გასწვრივ მიდის. უცბად ბუჩქებიდან შრიალის ხმას გაიგონებს და თავის ძაღლს უბრძანებს:

– მიდი, ნახე, რა ხდება.

– მიდი და შენ თვითონ ნახე, მე აქედანაც კარგად დავიყეფებ, – პასუხობს ძაღლი.

●●●

რუსს ეკითხებიან:

– რა აზრის ხარ ალკოჰოლზე?

– მხოლოდ კარგის.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ფხიზელს უფრო მეტი სისულელე მაქვს გაკეთებული, ვიდრე მთვრალს.

●●●

პარაშუტით ხტომის ინსტრუქტორი მსმენელებს ინსტრუქტაჟს უტარებს. ერთ-ერთი ეკითხება:

– იმ შემთხვევაში, თუ არც ძირითადი პარაშუტი გამეხსნება და არც სათადარიგო, რამდენ ხანს ვიფრენ დედამიწამდე?

– მთელ დარჩენილ ცხოვრებას... – პასუხობს ინსტრუქტორი.

●●●

ბიჭი გოგონას ეუბნება:

– წავიდეთ ჩემთან, შამპანიურით გაგიმასპინძლდები.

– შემეშვი, მეგობარი ბიჭი მყავს! – პასუხობს გოგონა.

– მეგობარი ბიჭი გყავს? მე კი ბინა მაქვს, მანქანა და ბევრი ფული!

ამ დროს გოგონას ცრემლები წამოუვა თვალებიდან.

– რა გატირებს? – ეკითხება ბიჭი.

– ახლახან, ჩემს მეგობარ ბიჭს დავშორდი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ძველებური ასტროლოგიური წიგნი; 2. პერუში მცხოვრები, უძველესი ცივილიზაციის მქონე ინდიელთა ტომი; 3. ყურანის მიხედვით, მუსლიმანთა სამოთხეში მცხოვრები, მარად ნორჩი ლამაზი ქალები; 4. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 5. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება; 6. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 7. ისტორიული მოედანი პარიზში; 9. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 13. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 17. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი; 18. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში.

**თარაზულად:** 1. საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული; 3. ისტორიული სამთავრო აღმოსავლეთ საქართველოში; 8. მდინარე ყვირილას მარცხენა შენაკადი; 10. ინგლისელი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში; 11. იორდანიის დედაქალაქი; 12. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 14. სამურაების მეთაური; 15. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 16. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად; 19. ქართული ფარმაცევტული კომპანია; 20. ოთხსიმიანი, ხემიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 21. მკბენარა მწერი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## ასტროპროგნოზი

11 სექტემბრისთვის

**ვერძი** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ქალწული** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **სასწორი** — თქვენი საქმე წინ წავა, მთავარია არ იზარმაცოთ. **ღრიანკალი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი გაამართლებს, არ გამოეთიშოთ საქმეს. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ვიტამინები. **მერწყული** — მეგობრებისგან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **თევზები** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ლურჯი წითელი ყვითელი შავი